დაე მარად ცოცხლობდეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისა და ხელმძღვანელის სახელი და საქმე!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი შაბათი 21 აპრილი № 94 (17439) ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს — ყველანი ლენინურ შაბათოობაზე!

ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთებით

საქართველოს სსრ — 1.875.000

აფხაზეთის ასსრ — 168.000

აჭარის ასსრ — 120.000

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი — 26.250

მხურვალედ დაუჭირეს რა მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, საქართველოს მშრომელები მზად არიან კომუნისტური შაბათობის შედეგად მიღებული სახსრების 75 პროცენტი მოძმე ვიეტნამის დახმარების ფონდში გადარიცხონ.

რესპუბლიკის მაშტაბით შრომის ზეიმში, წინასწარი ვარაუდით, მონაწილეობას მიიღებს 2.352 ათასი კაცი. დამზადდება 13 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია, გამომუშავებული ხელფასის 2,5 მილიონი მანეთიდან 1.875 ათასი მანეთი მოძმე ვიეტნამის დახმარების ფონდში ჩაირიცხა.

აფხაზეთი: „წითელ შაბათობაში" 264 ათასზე მეტი კაცი მიიღებს მონაწილეობას. ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი კეთილმოაწყობს და გაამწვანებს სოფლებსა და ქალაქებს. გამომუშავებული ხელფასის 224 ათასი მანეთიდან 168 ათასზე მეტი ვიეტნამის დახმარების ფონდში გადაირიცხება.

აჭარა: 21 აპრილს ● ბრომის ფერხულში 180 ათასამდე კაცი ჩაებმება. დამზადდება 580 ათასი მანეთის პროდუქცია. გამომუშავებული ხელფასის 161 ათასი მანეთიდან 120 ათასი მანეთი ვიეტნამის დახმარების ფონდში გადაირიცხება.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელები საგულდაგულოდ მოემზადნენ ლენინური შაბათობის ორგანიზებულად ჩასატარებლად. დღეს აქ 44 ათასი კაცი იქნება დასაქმებული მრეწველობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე, დაწესებულებებში და სოფლის მეურნეობაში. დამზადდება 226 ათასი მანეთის ღირებულების პროდუქცია. გამომუშავებული ხელფასის 35 ათას მანეთიდან ვიეტნამის დახმარების ფონდში 26 ათას 250 მანეთი გადაირიცხება.

მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 109-ე წლისთავს

მოსკოვი

როგორც ნათელ დღესასწაულს, ისე აღნიშნავს საბჭოთა ხალხი და ამასთან ერთად მთელი პროგრესული კაცობრიობა გენიალური რევოლუციონერისა და მოაზროვნის, კომუნისტური პარტიის შემქმნელის, მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 109-ე წლისთავს.

20 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა ვ. ი. ლენინის დაბადების 109-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. აქ შეიკრიბნენ დედაქალაქისა და მოსკოვის ოლქის წარმოების მონინავენი და ნოვატორები, პარტიის ვეტერანები, მეცნიერებისა და ტექნიკის მოღვაწეები, საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომრები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სხდომას ესწრებიან საზღვარგარეთელი დიპლომატები, უცხოელი სტუმრები.

17 საათია. მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან სხდომის მონაწილეები ამხანაგებს **ი. ვ. ანდროპოვს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. პელშეს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, კ. ვ. რუსაკოვს, მ. ს. გორბაჩოვს.**

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ვ. გრიშინმა.**

ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

მოხსენება — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მაღლა ატარებს ლენინურ დროშას" გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ი. ვ. კაპიტონოვმა.**

საზეიმო სხდომის მონაწილენი ფეხზე ამდგარნი მღერიან პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

შემდეგ გაიმართა დიდი სადღესასწაულო კონცერტი. (საკ-დესი).

მოსკოვი. 20 აპრილს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 109-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. სურათზე: საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში. საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

თბილისი

20 აპრილს თბილისის ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართა ვ. ი. ლენინის დაბადების 109-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა. აქ შეიკრიბნენ საქართველოს დედაქალაქის წარმოების მოწინავენი, ძველი ბოლშევიკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, საბჭოთა არმიის მეომრები.

საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში არიან ამხანაგები **ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი,** პარტიის ვეტერანები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, მეათე ხუთწლედის გვარდიელები, გენერლები, თვალსაჩინო მეცნიერები, საზოგადოებრივი და შემოქმედებითი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საზეიმო სხდომა გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **თ. ნ. მენთეშაშვილმა.**

დარბაზში ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

საზეიმო სხდომის მონაწილეებმა უდიდესი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება — „ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად" გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ე. ჩერქეზიამ.**

შეკრებილებმა მოისმინეს საუბარი მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის შესახებ, რომლის სახელი და საქმეები საუკუნოდ იცოცხლებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სსრ კავშირის მეათე მონვეევის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებული პირველი სესიის მუშაობის შედეგებით, მოემზადნის საბრძოლო პროგრამად აღიქვეს ის დებულებანი და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის აპრილის პლენუმზე და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლები, აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ამრავლონ კომუნისტური აღმშენებლობის გზაზე მიღწეული წარმატებანი.

დიდი ლენინის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება. ეს გახდა შემობრუნების ეტაპი ქართველი ხალხის ისტორიაში, რომელმაც ღირსეული ადგილი დაიკავა საბჭოთა ხალხების ერთიან მეგობრულ ოჯახში.

რესპუბლიკის მშრომელები ერთსულოვნად უჭერენ მხარს კურსს, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებათა შესასრულებლად, სულ უფრო აქტიურად აჩაღებს პრინციპულ და მტკიცე ბრძოლას ჩვენს ცხოვრებაში ჯერ კიდევ არსებული ნაკლოვანებებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ამ ბრძოლის ლოგიკური შედეგია ის, რომ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის რესპუბლიკას ზედიზედ მეექვსეჯერ მიენიჭა საკავშირო გარდამავალი წითელი დროშა.

წარმატებანი რესპუბლიკის ეკონომიკურ, სოციალურ განვითარებაში, — თქვა დასასრულ ამხ. ო. ჩერქეზიამ, — ნამდვილად მნიშვნელოვანნი. მაგრამ, როგორც დიდი ლენინი გვასწავლიდა, არავითარმა წარმატებამ არ უნდა დაგვახვიოს თავბრუ, არ მივიცეთ თვითკმაყოფილებას, არამედ პირიქით, ყოველი წარმატება უნდა გამოვიყენოთ როგორც საფეხური შემდგომი წინსვლის გზაზე.

ჟღერს საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

□

სხდომის მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი. (საქინფორმი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მაღლა ატარებს ლენინის დროშას

ამხანაგ ი. ვ. კაპიტონოვის მოხსენება ვ. ი. ლენინის დაბადების 109-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მოსკოვში

ამხანაგებო!

ყოველ წელს ჩვენი პარტია, საბჭოთა ხალხი, ყველა ქვეყნის მშრომელები, როგორც ძვირფას ღირსშესანიშნავ თარიღს, საზეიმოდ აღნიშნავენ ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების დღეს. და დღეს ჩვენ კვლავ მივაპყრობთ გონების თვალს ადამიანთა შორის უდიდეს ადამიანს, მის უტკბობ იდეებს, მათ მიხედვით ვამოწმებთ ჩვენს ნაბიჯს კომუნიზმისაკენ.

რაც უფრო გვშორდება ისტორიულად დრო, როცა ცხოვრობდა და მუშაობდა ლენინი, მით უფრო ნათლად წარმოგვიდგება მისი შემოქმედების მთელი გრანდიოზულობა და მსოფლიო მნიშვნელობა. ლენინთან არის დაკავშირებული მთელი ეპოქა მარქსიზმის განვითარებაში. ახალ ისტორიულ პირობებში მან დაიცვა მარქსისა და ენგელსის მოძღვრების სიწმინდე, პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი დასკვნებითა და აღმოჩენებით გაამდიდრა იგი.

„ლენინის ფასდაუდებელი დამსახურება ის არის, — ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — რომ მან პასუხი გასცა უმწვავეს საკითხებს, რომლებსაც ცხოვრება სახავდა, გვიჩვენა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის ყველაზე ქმედითი ფორმები".

გენიალურმა მოაზროვნემ, რევოლუციონერ-ბელმა სტრატეგმა და ტაქტიკოსმა ლენინმა ყველაზე უკეთ იცოდა, თუ როგორ შეესახა ხორცი რევოლუციური თეორიისათვის, გაეერთიანებინა იგი მასების შემოქმედებასთან. მან შექმნა, იდეურად და ორგანიზაციულად შეაიარაღა ახალი ტიპის პროლეტარული პარტია, სათავეში ჩაუდგა მის თავდადებულ ბრძოლას მუშათა კლასის საქმისათვის. ლენინის პარტიის ხელმძღვანელობით მოხდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, შეიქმნა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო. ამით დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ერა.

ლენინიზმი ძლევამოსილად მიაბიჯებს ჩვენს პლანეტაზე, იპყრობს სულ უფრო მეტი გულწრფელი მომხრისა და მიმდევრის გულს. სულ უფრო სრულად ვლინდება მისი რევოლუციურ-გარდამქმნელი ძალა, უდიდესი ჰუმანიზმი, ინტერნაციონალური არსი.

ლენინიზმის ნამდვილი ტრიუმფი გახდა სსრ კავშირში განვითარებული საზოგადოების შექმნა. ლენინიზმის

(გაგრძელება მე-2 გვ.).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის თავმჯდომარეობით 20 აპრილს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პირველი სხდომა.

სხდომა გახსნა ლ. ი. ბრეჟნევმა, რომელმაც გულთბილად მიულოცა პრეზიდიუმის წევრებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანოს შემადგენლობაში არჩევა და გამოთქვა რწმენა, რომ პრეზიდიუმის არც ერთი წევრი არ დაიშურებს ძალღონესა და ენერგიას, რათა გაამართლოს პარტიისა და უმაღლესი საბჭოს ნდობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ვ. კუზნეცოვმა პრეზიდიუმის წევრთა სახელით გულითადად მიულოცა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ არჩევა.

პრეზიდიუმის შემადგენლობა, თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, ახალი დეპუტატებით შეივსო. ამასთან მასში შევიდა ბევრი ამხანაგი, რომლებიც აქ წინათაც მუშაობდნენ. ეს კი შესაძლებლობას გვაძლევს უზრუნველყოთ მემკვიდრეობითობა მუშაობაში, სიშუალეს გვაძლევს საქმის ცოდნით, კოლექტიურ გამოცდილებაზე დაყრდნობით გადავწყვიტოთ ჩვენს წინაშე დასმული სახელმწიფო ცხოვრების საკითხები.

მე უკვე აღმინიშნავს, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის მიღების შემდეგ მთელ ჩვენს მუშაობაში ახალი პერსპექტივები ისახება. საბჭოთა საზოგადოების განვითარების პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი მიმართულებაა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება.

რა არის მთავარი მის განვითარებაში ახლანდელ ეტაპზე? ვფიქრობ, მთავარი ის არის, რომ ყურადღების ცენტრში ისევე, როგორც ეკონომიკაში, იყოს ჩვენი დემოკრატიის ეფექტიანობა. სწორედ ეს არის საჭირო, რათა პრაქტიკულად ორგანულად იყოს ერთმანეთთან შეხამებული საზოგადოებისა და პიროვნების ინტერესები.

3. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საწარმოო ძალებისა და კულტურის განვითარების საქმეში წინ, უფრო მაღლა გადადგმულ თითოეულ ნაბიჯს თან უნდა სდევდეს ჩვენი საბჭოთა სისტემის შემდგომი დახვეწა და სრულყოფა.

სესიაზე განისაზღვრა საბჭოთა ხელისუფლების ყველა ორგანოს და უწინარეს ყოვლისა თვით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მუშაობის ძირითადი ხაზი.

მინდა აგრეთვე ხაზი გავუსვა, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის, ახლა კი უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის, მუდმივი კომისიების განახლებული დებულების, სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ კანონის მიღება ჩვენი მუშაობისათვის რიგიან სამართლებრივ საძირკველს ქმნის.

და ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, ხაზგასმით აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, ის არის, რომ ჩვენი კანონების ნორმები მოქმედებდეს სრული მოცულობით, მაქსიმალურ შედეგს იძლეოდეს.

პრეზიდიუმის სხდომაზე განხილეს 1978 წლის 5 დეკემბერს მოსკოვში ხელმოწერილი საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელით, რომელმაც ხელშეკრულება სარატიფიკაციოდ წარადგინა, ინფორმაცია გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას, რომელსაც საბჭოთა კავშირის მხრივ ხელი მოაწერა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა, ხოლო ავღანეთის მხრივ — ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს თავმჯდომარემ ნ. მ. თარაკიმ, ისტორიული მნიშვნელობა აქვს როგორც საბჭოთა კავშირ-ავღანეთის კავშირურთიერთობის ყოველმხრივი გაფართოებისა და გაღრმავების, ისე აზიის კონტინენტზე, მაშასადამე, მთლიანად მსოფლიოშიც მშვიდობის განმტკიცების თვალსაზრისითაც.

1978 წლის 27 აპრილს ავღანეთში სახალხო-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობით მოხდა ნამდვილი სახალხო რევოლუცია, რომლის შედეგადაც გამოცხადდა ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა. არჩეული გზით ავღანელი ხალხის პირველი ნაბიჯი მოწმობს მის მტკიცე რევოლუციურ გადაწყვეტილებას სამუდამოდ მოუღოს ბოლო სოციალურ უსამართლობას, ეკონომიკურ და კულტურულ ჩამორჩენილობას, აშენოს ნამდვილად დამოუკიდებელი ავღანეთი, რომლის ხალხი თავისუფალი იქნება ექსპლოატაციისა და სოციალური ჩაგვრისაგან.

საბჭოთა ადამიანები სიმპათიით ადევნებენ თვალს ავღანეთის რევოლუციის პირველ ნაბიჯს და სულითა და გულით უსურვებენ ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულ პარტიას, მთავრობასა და ხალხს წარმატებას დემოკრატიული გარდაქმნების განხორციელებაში ავღანელი ხალხის ინტერესებისათვის, მისი კეთილდღეობისათვის. აპრილის რევოლუციის შემდეგ საბჭოთა კავშირმა პირველმა ცნო ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკა და ჩვენი ლენინური საგარეო პოლიტიკის შესაბამისად განაცხადა, რომ მტკიცედ უჭერს მხარს ავღანელი ხალხის მეცადინეობას, რომელიც მიზნად ისახავს ახალი ცხოვრების მშენებლობას.

შემდეგ ა. ა. გრომიკომ დაახასიათა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ხელშეკრულების შინაარსი, გააშუქა მისი ძირითადი დებულებანი, ხაზი გაუსვა, რომ ეს ხელშეკრულება დადებულია ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების სრული შესაბამისობით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგარეო საქმეთა კომისიების სახელით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ბ. ნ. პონომარიოვი.** მან თქვა, რომ უმაღლესი საბჭოს კომისიებში ხელშეკრულების განხილვამ დაადასტურა, თუ რაოდენ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობისაა ეს დოკუმენტი. იგი საუსებით შეეხამება ორივე ქვეყნის ხალხთა ძირეულ, გრძელვადიან ინტერესებს, ემსახურება მშვიდობის საქმეს აზიისა და მთელ მსოფლიოში.

როგორც თავის გამოსვლებში აღნიშნეს კომისიების წევრებმა, ხელშეკრულება მნიშვნელოვანი წვლილია მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის იმ პროგრამის პრაქტიკულ განხორციელებაში, რომელიც სკკპ XXV ყრილობამ დასახა.

ხელშეკრულების შერვე მუხლის შესაბამისად მხარეები ვალდებულებას კისრულობენ ხელი შეუწყონ აზიის ქვეყნების თანამშრომლობის განვითარებას, მათ შორის მშვიდობიანი, კეთილმეზობლური ურთიერთობის დაფარებასა და აზიაში უშიშროების ეფექტიანი სისტემის შექმნას.

ხელშეკრულების ამ დებულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ ბოლო დროს, როცა პეკინის ხელმძღვანელებმა აგრესია მოაწყვეს გმირი ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ, აშკარად უჭერენ მხარს მთავრობის საწინააღმდეგო ელემენტებს ავღანეთსა და მის ფარგლებს გარეთ.

(დასასრული მე-2 გვ.).

მოსკოვი. სურათებზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ხელს აწერს ბრძანებულებას ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ და სარატიფიკაციო სიგელს.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

(დასასრული)

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის რევოლუციური საბჭოს მიერ ხელშეკრულების ამასწინანდელი რატიფიკაცია მოწმობს, რომ მას მხურვალედ უჭერენ მხარს და იწონებენ ავღანელი ხალხის ფართო მასები. საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ახალ ხელშეკრულებას მიესალმა აზიისა და მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა.

საგარეო საქმეთა კომისიების სახელით ბ. ნ. პონომარიოვმა შემოიტანა წინადადება დაამტკიცონ ხელშეკრულება.

შემდეგ გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი შ. რ. რაშიდოვი, რომელმაც მოიწონა ხელშეკრულება. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელშეკრულება მტკიცე და ხანგრძლივ საფუძველს უქმნის ჩვენი ქვეყნისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას. იგი მოიცავს იმ ფართო და მრავალმხრივი თანამშრომლობის პრაქტიკულად ყველა მხარეს, რომელიც დამყარებული გვაქვს სხვადასხვა დარგში — იქნება ეს პოლიტიკა, კულტურა თუ სპორტი. ხელშეკრულებით დასახულია ის ძირითადი, მაგისტრალური მიმართულებანი, რომლებითაც განვითარდება ჩვენი ურთიერთობა ამ ქვეყანასთან, კერძოდ, თანამშრომლობა საერთაშორისო ასპარეზზე. საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ხელშეკრულება ხელს შეუწყობს დაძაბულობის შენელების პროცესის გაგრძელებას აზიის კონტინენტზე. ამავე დროს იგი გახდა მნიშვნელოვანი ზღუდე, რომელიც აბრკოლებს პეკინის ჰეგემონისტურ პოლიტიკას აზიასა და მთელ მსოფლიოში.

დადებული ხელშეკრულების გამო დიდი კმაყოფილება გამოთქვა სკკპ ბაშკირეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა მ. ზ. შაკიროვმა. სსრ კავშირი, თქვა მან, ყოველმხრივ ავითარებს და განამტკიცებს თანამშრომლობას ავღანეთის რესპუბლიკასთან, რადგან თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის და ავღანეთთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების განუხრელი კურსის ერთგულია. ავღანეთი ჩვენი მეზობელი ქვეყანაა, რომელთანაც გვაქვს 2.400-მდე კილომეტრი მშვიდობისა და თანხმობის საზღვარი. ხელშეკრულების დადება თვალსაჩინო გამოხატულებაა იმისა, რომ სსრ კავშირსა და ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კიდევ უფრო მკვიდრი გახადონ და განავითარონ თავიანთი ურთიერთობის პოლიტიკური და სამართლებრივი საფუძველი.

ყველა საბჭოთა ადამიანმა, მათ შორის ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსაზღვრე საბჭოთა ტაჯიკეთის მშრომელებმა, განაცხადა სხდომაზე გამოსვლისას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მ. ხოლოვმა, დიდი კმაყოფილებით აღიქვეს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ხელშეკრულების დადება. მ. ხოლოვმა მხარი დაუჭირა ხელშეკრულების რატიფიკაციის წინადადებას.

ამ საკითხზე გამოსვლისას ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დღევანდელი განხილვა საკმაოდ სრულად, მე ვიტყოდი, ყოველმხრივ, ასახავს ამ ფრიად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტის აზრსა და როლს.

უწინარეს ყოვლისა, ამ ხელშეკრულებაში მკაფიოდ მოჩანს საბჭოთა საგარეო პოლიტიკის თანამიმდევრული გეზი, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს დამაარსებელმა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა დასახა. შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულება — ეს არის იმ სახიკეთო საწყისების კონკრეტული განვითარება ახლანდელ პირობებში, რომლებიც პირადად ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა შეუქმნა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობის ჩამოყალიბებას.

ამასთან დაკავშირებით დიდ მელლვარებას განვიცდი, როცა მახსენდება მისალმება, პირველი მისალმება, სამოქალაქო ომის ცეცხლში გახვეული რუსეთიდან რომ გაუგზავნა მან „დამოუკიდებელ ავღანელ ხალხს, რომელიც გმირულად იცავს თავისუფლებას უცხოელ დამპყრობთაგან“.

დღეს ნდობისა და კეთილმეზობლობის თესლმა ორი ქვეყნის ურთიერთობაში კარგი აღმონაცენი მოგვცა. რუსეთი მუდამ იქნება ავღანეთის პირველი მეგობარი, ამბობდა ვ. ი. ლენინი ავღანელი ხალხისადმი მიმართვაში. და ახლანდელი ხელშეკრულების დადება ამის კიდევ ერთი დადასტურებაა.

ამასთანავე ხელშეკრულება, რომლის რატიფიკაციასაც დღეს ვახდენთ, მოახსენებს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობის თვისებრივად ახალ ეტაპს. სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ, რომელმაც ერთი წლის წინ ბოლო მოუღო ფეოდალურ რეჟიმს, ავღანეთში სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლების დამყარებამ ამ ურთიერთობას ახალი ჰორიზონტები გადაუშალა. მოსკოვსა და ქაბულს დღესაც იგივე ათასობით კილომეტრი აშორებს, რომლებიც წინათ აშორებდა, მაგრამ განვლილმა წელმა ჩვენი ქვეყნების ხალხები თითქოს დაუახლოვა ერთმანეთს.

საბჭოთა ხალხი მეგობარ ავღანელ ხალხს ინტერნაციონალურ დახმარებას და მხარდაჭერას უწევს. ჩვენთვის ახლობელი და გასაგებია ავღანეთის რევოლუციის მიზნები, ის სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები, რომლებიც მშრომელი მასების ინტერესებისათვის ხორციელდება. ამ ამოცანების შესრულება იოლი საქმე როდია. ჩვენ საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რომ იგი მოითხოვს შინაური და გარეშე მტრის წინააღმდეგობის დაძლევას, სიმტკიცეს, ნებისყოფას, შეკავშირებას. მაგრამ ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ მთელი დემოკრატიული ავღანეთი წარმატებით დაძლევს ყველა განსაცდელს.

ჩვენი ხელშეკრულება, რომელიც საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობას განამტკიცებს, არ არის მიმართული რომელიმე სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, არ ლახავს მათს კანონიერ ინტერესებს. საბჭოთა კავშირს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ იგი გაკვირვებით ეკიდება ავღანეთის ახალი ხელმძღვანელობის მისწრაფებას — ახორციელებდეს მიუმხრობლობის პოლიტიკას, ავითარებდეს თანამშრომლობას ყველა სახელმწიფოსთან.

დარწმუნებული ვართ, რომ ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ისეთი საგარეო-პოლიტიკური კლიმატის შექმნას, რომელიც ავღანელ ხალხს შესაძლებლობას მისცემს მტკიცედ იაროს ალშენებლობისა და პროგრესის გზით, მშვიდობისა და უშიშროების ვითარებაში. ასეთი ვითარების შენარჩუნება კი შეესაბამება მსოფლიოს ამ რაიონის ყველა ხალხის, ყველა ხალხის ინტერესებს, შეესაბამება მთლიანად საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცების ამოცანებს.

დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა წინადადება წამოაყენა დამტკიცონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ — ახორციელებდეს მიუმხრობლობის პოლიტიკას, ავითარებდეს თანამშრომლობას ყველა სახელმწიფოსთან.

დარწმუნებული ვართ, რომ ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ისეთი საგარეო-პოლიტიკური კლიმატის შექმნას, რომელიც ავღანელ ხალხს შესაძლებლობას მისცემს მტკიცედ იაროს ალშენებლობისა და პროგრესის გზით, მშვიდობისა და უშიშროების ვითარებაში. ასეთი ვითარების შენარჩუნება კი შეესაბამება მსოფლიოს ამ რაიონის ყველა ხალხის, ყველა ხალხის ინტერესებს, შეესაბამება მთლიანად საერთაშორისო დაძაბულობის შენელების განმტკიცების ამოცანებს.

დასასრულ ლ. ი. ბრეჟნევმა წინადადება წამოაყენა დამტკიცონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ — და სარატიფიკაციო სიგელებ.

— შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა და მოიწონა იმ ძირითად ღონისძიებათა გეგმა, რომელთა განხორციელებაც 1979 წლის აპრილ-დეკემბერში აქვს დასახული სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების მუდმივ კომისიათა მუშაობის გეგმის საკითხი. პრეზიდიუმმა მუდმივ კომისიებს ურჩია მათი სამუშაო გეგმებით გათვალისწინებულ საკითხთა მომზადებისა და განხილვის დროს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სსრ კავშირის კონსტიტუციის მოთხოვნების შესრულებას, იმ მითითებათა ხორცშესხმას, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის აპრილის პლენუმმა დასახა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წარმმართველი, საკოორდინაციო და საკონტროლო საქმიანობის ყველა მხარის შემდგომი სრულყოფისათვის.

(საკდესი).

ხალხისათვის სამსახური ლენინის პარტიის უმაღლესი მოწოდებაა

ამხანაგებო!

მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე, მთელი თავისი გენია ლენინმა მიუძღვნა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის, მუშათა კლასის, ყველა მშრომელის განთავისუფლებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლას. ამას ასწავლიდა ჩვენს პარტიას, ეს მიაჩნდა მის უმაღლეს მოწოდებად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ ასრულებს ლენინის ანდერძს. პარტია არსებობს ხალხისათვის, განუყოფელია მისგან, მტკიცედ არის დაკავშირებული მასთან. მთელი მისი საქმიანობა ხალხის უანგარო სამსახურშია. კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე იზრდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორალურ-პოლიტიკური ავტორიტეტი, სულ უფრო სრულად ვლინდება მისი, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლი. ჩვენი ხალხი მჭიდროდ არის შეკავშირებული მშობლიური ლენინური პარტიის გარშემო, უსაზღვროდ ენდობა მას, აქტიურად უჭერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

მაგრამ, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, ხალხის ნდობა მომთხოვნი ნდობაა. ამიტომ პარტიის ყოველგვარი გადაწყვეტილება, ყოველი მისი ნაბიჯი პოლიტიკაში, ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ისეთი უნდა იყოს, რომ კიდევ უფრო მტკიცდებოდეს პარტიისა და ხალხის ერთიანობა, რომ ხალხის ნდობა პარტიისადმი კვლავაც ურყევი დარჩეს.

თავისი პოლიტიკით, შემადგენლობით, საქმიანობის მეთოდებით — ეს არის მასების პარტია ლენინური გაგებით. რა ამოცანებსაც უნდა წყვეტდეს პარტია ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, იგი ყოველთვის ითვალისწინებდა და ითვალისწინებს მშრომელთა ინტერესებს, აყენებდა მათ ყველაზე მაღლა.

პარტია ფხიზლად ჭვრეტს მომავალს, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე განსაზღვრავს საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივებს, მეცნიერულად უჩვენებს ხალხს წინსვლის გზებს, აღვიძებს მასებში გიგანტურ ენერგიას.

თანამედროვე ეტაპზე კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის თეორიის, სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირეული პრობლემები ღრმად არის დამუშავებული პარტიის XXIII, XXIV და XXV ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში, სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში. ეს დოკუმენტები გამსჭვალულია ქვეყნის ბედისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით. მათში წამოყენებული დებულებანი დიდი წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. ამ დებულებებით შეიარაღებულია პარტია, მთელი ხალხი, ისინი ხელს გვიწყობენ წარმატებით გადავწყვიტოთ კომუნისტური აღმშენებლობის გრანდიოზული ამოცანები.

მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური კურსის თანამიმდევრული განხორციელება უზრუნველყოფს მომწიფებული სოციალიზმის შესაძლებლობების სულ უფრო სრულ გამოყენებას, საბჭოთა საზოგადოების მატერიალური და სულიერი ძალების დინამიკურ განვითარებას, საშუალებას გვაძლევს განუხრელად მივაღწიოთ დასახულ მიზნებს. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი როლი ეკუთვნის ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროსა და პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

ლენინის დიადი საქმის ღირსეულ განმგრძობს, მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს უდიდესი წვლილი შეაქვს პარტიის გენერალური ხაზის, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრასა და რეალიზაციაში. მას აქვს მეცნიერული განჭვრეტის იშვიათი ნიჭი, საზოგადოებრივი მოვლენების არსში ჩაწვდომის უნარი, იგი ლენინური სიბრძნითა და შორსმჭვრეტელურად უდგება პრაქტიკით დასახული ამოცანების გადაწყვეტას. საყოველთაო აღიარება მოიპოვა მისმა დამსახურებამ მომწიფებული სოციალიზმის, ჩვენი პოლიტიკური სისტემის სრულყოფის, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების კარდინალური პრობლემების, პარტიული მშენებლობის აქტუალური საკითხების შემუშავებაში.

დიდსულოვანი, მაღალი პრინციპების, უდრეკი ნებისყოფის ადამიანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სრულყოფილად არის დაუფლებული ადამიანთა შეკავშირებისა და შთაგონების ხელოვნებას. მისი უშუალო ზემოქმედებით პარტიაში შეიქმნა ერთსულოვანი კოლექტიური მუშაობის ვითარება, როცა ადამიანებისადმი ნდობა პრინციპულ მომთხოვნელობასთან არის შეზამებული. ეს სასიკეთო გავლენას ახდენს ჩვენი საზოგადოების მთელ ცხოვრებაზე.

ხალხის კეთილდღეობისათვის, ქვეყნად კომუნიზმისა და მშვიდობის გამარჯვებისათვის დაუცხრომელი მოღვაწეობით ლეონიდ ილიას ძემ საბჭოთა ადამიანების, მთელი პროგრესული კაცობრიობის უდიდესი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა!

ამხანაგებო! პარტიის მთელი პოლიტიკა — ეს არის მოქმედი ლენინიზმი. იგი კონცენტრირებულად გამოხატავს ხალხის საარსებო ინტერესებს, საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს. მისი უმაღლესი მიზანი ყოველთვის იყო და არის მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განუხრელი ამაღლება.

ამას უწინარეს ყოვლისა ისახავს მიზნად პარტიის მიერ შემუშავებული ეკონომიკური სტრატეგია. ახორციელებს რა მას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გეგმაზომიერად წყვეტს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანებს, უზრუნველყოფს ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, მისი ეროვნული სიმდიდრის ზრდას.

პარტია ახორციელებს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლების კურსს, იღვწის შეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, რადგან იგი მიაჩნია შრომის ნაყოფიერების გადიდების, მისი პირობების ძირეული გაუმჯობესებისა და შემსუბუქების მთავარ ბერკეტად. ამასთან შეუნელებელი ყურადღება ეთმობა ავტომატიზაციასა და კომპლექსურ მექანიზაციას, რაც კომუნისტურ შრომად სოციალისტური შრომის თანდათანობითი გადაზრდის მატერიალურ საფუძველს შეადგენს.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს საზოგადოებაში კაპიტალიზმისაგან განსხვავებით ტექნიკური პროგრესი არ წარმოშობს უმუშევრობას, არამედ შეხამებულია შრომისუნარიანი მოსახლეობის სრულ დასაქმებასთან.

ძირეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება პარტიის თანამედროვე აგრარული პოლიტიკა, რომელიც შეიმუშავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმმა. იგი განვითარდა და ღრმად დასაბუთდა პარტიის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებში, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომებში.

მის შემდგომ შემუშავებასა და განხორციელებაში ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისის პლენუმი. შეძენილი გამოცდილებისა და მიღწეული შედეგების გათვალისწინებით დასახულია და ხორციელდება სოფლის მეურნეობის ყველა დარგის ყოველმხრივი განვითარებისა და ეფექტიანობის ამაღლების ვრცელი პროგრამა.

მისი მთავარი მიზანია უზრუნველყოს ქვეყნის საიმედო მომარაგება სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, კიდევ უფრო გააუმჯობესოს ხალხის კეთილდღეობა, დაუახლოოს ერთმანეთს ქალაქისა და სოფლის ცხოვრების მატერიალური და კულტურული პირობები.

თანამედროვე აგრარული პოლიტიკა მომწიფებული სოციალიზმის პერიოდში ლენინური კოოპერაციული გეგმის პირდაპირი განგრძობა და შემოქმედებითი განვითარებაა. ჩვენი პარტია კვლავაც განახორციელებს მათ მთელი თანამიმდევრულობითა და სიმტკიცით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ზრუნავს, რათა ხალხის სამსახურში ჩააყენოს ჩვენი სამშობლოს უდიდესი ბუნებრივი რესურსები, პარტიის ინიციატივით შემუშავებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის, ჩრდილოეთისა და შორეული აღმოსავლეთის, რუსეთის არაშავმიწანიადაგიანი ზონის სიმდიდრის ათვისებისა და საწარმოო ძალების განვითარების გრანდიოზული კომპლექსური პროგრამები. მათ განხორციელებას არა მარტო დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, არამედ ღრმა სოციალური აზრიც აქვს.

ეყრდნობიან რა სოციალისტური ეკონომიკის გაზრდილ შესაძლებლობებსა და მიღწევებს, პარტია და სახელმწიფო სკკპ XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესაბამისად ყოველ ღონეს ხმარობენ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის და თითოეული ოჯახი, თითოეული საბჭოთა ადამიანი რეალურად გრძნობს ამას.

მეცხრე და მეათე ხუთწლედების მანძილზე განხორციელდა ქვეყნის მთელ ისტორიაში ყველაზე დიდი სოციალური ღონისძიებანი, მუშათა და მოსამსახურეთა უმრავლესობას მოემატა ხელფასი, გაიზარდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება, მნიშვნელოვნად გაფართოვდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. ამის შედეგად ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი 37 პროცენტით გადიდდა.

თითქმის 90 მილიონი კაცი, ესე იგი ქვეყნის მოსახლეობის მესამედი შესახლდა ახალ ბინებში ან გაუმჯობესა საბინაო პირობები. დიდდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. ფართოვდება მისი ასორტიმენტი. კიდევ უფრო განვითარდა ვაჭრობა და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

უმჯობესდება სახალხო განათლება და ჯანმრთელობის დაცვა. ახალ მწვერვალებს იპყრობს ჩვენი მეცნიერება და სოციალისტური კულტურა. დიდი სოციალური მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებას. ბავშვთა ჯანმრთელობისა და აღზრდისათვის ზრუნვის გაძლიერების ნიშნით მიმდინარეობს ჩვენში ბავშვის საერთაშორისო წელი.

ასე ხორციელდება საქმით პარტიის საპროგრამო ლოზუნგი: „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“!.

ჩვენი საზოგადოების, ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრებაზე უდიდეს გავლენას ახდენს პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკა, საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკისა და კულტურის ყოველმხრივი განვითარება, ყველა ერისა და ეროვნების ძმური თანამშრომლობა, ურთიერთდახმარება და დაახლოება — ასეთია მისი ხილული, ჭეშმარიტად ისტორიული შედეგები.

მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის მტკიცე კავშირის, ქვეყნის ერებისა და ეროვნებების მზარდი მეგობრობის საფუძველზე ღრმავდება ჩვენი საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნება, მიმდინარეობს საბჭოთა ხალხის, როგორც ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობის კონსოლიდაცია.

ამხანაგებო! მთელი თავისი მრავალმხრივი პოლიტიკური, ორგანიზატორული და იდეოლოგიური საქმიანობით პარტია აქტიურ ზეგავლენას ახდენს ამ პროცესებზე. ამავე დროს იგი თვითონაც მუდმივად ვითარდება და მტკიცდება, მდიდრდება ახალი პოლიტიკური გამოცდილებით. ახლა ჩვენი პარტია არის მძლავრი, ერთიანი ნებითა და მოქმედებით მჭიდროდ შეკავშირებული კომუნისტთა თითქმის ჩვიდმეტმილიონიანი არმია!

თავისი მოწოდების სიმაღლეზე რომ იყოს, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დაუცხრომლად ამაღლებს პარტიული რიგების ბრძოლის უნარიანობას, სრულყოფს შინაპარტიულ ცხოვრებას, საზოგადოების ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს.

მომწიფებული სოციალიზმის პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც თავისი ბუნებით მუშათა კლასის პარტიად რჩება, ვითარდება როგორც მთელი ხალხის პარტია. მას ღრმად აქვს ფესვი გადგმული ხალხში, დღენიადაგ მისგან იღებს ახალ-ახალ ძალებს. მშრომელთა უფართოეს მასებთან პარტიის მზარდი კავშირი, მისი ავტორიტეტისა და გავლენის ამაღლება მოსახლეობის სხვადასხვა ფენას შორის კონკრეტულად გამოიხატება პარტიული რიგების თვისებრივი შემადგენლობის ზრდითა და გაუმჯობესებით.

მარტო XXV ყრილობის შემდეგ პარტიაში შევიდა დაახლოებით მილიონ ცხრაასი ათასი კაცი. ამასთან ახალი პარტიული შევსების 59 პროცენტს მოწინავე მუშები შეადგენენ. დღენიადაგ იზრდება პარტიაში კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის, ქალთა, ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენელთა ნაკადი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შემოქმედებითი შესაძლებლობანი, ორგანიზაციული ძლიერება მრავალგზის მრავლდება იმის მეოხებით, რომ მთელ მის საქმიანობას ურყევ საფუძვლად უდევს ლენინური ნორმები და პრინციპები. მათს განმტკიცებასა და განვითარებაში უაღრესად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა, რომლის მეთხუთმეტე წლისთავი წელს სრულდება.

ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის, სკკპ XXIII, XXIV და XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა ზეგავლენით სულ უფრო სრულად ვლინდება პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და ხელმძღვანელობის პრინციპების ცხოველმყოფელი ძალა. დემოკრატიული ცენტრალიზმის თანმიმდევრული განხორციელება, შინაპარტიული დემოკრატიის განვითარება უზრუნველყოფს კომუნისტთა მაღალ შეგნებასა და დისციპლინას, მათ აქტიურ მონაწილეობას პარტიის პოლიტიკისა და გადაწყვეტილებათა შემუშავებასა და პრაქტიკულ განხორციელებაში.

ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა ამას წინათ პარტიაში გამართულ ანგარიშგება-არჩევნების დროს. მან საქმიანად, ფართო საჯაროობის, მაღალი ურთიერთმომთხოვნელობის, პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა.

საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა და კონფერენციებმა თვალსაჩინოდ ცხადყო შინაპარტიული ურთიერთობის ქმედითი დემოკრატიზმი, პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების გაზრდილი პასუხისმგებლობა სამეურნეო, კულტურული და სახელმწიფოებრივი მშენებლობის ყველა უბანზე საქმის მდგომარეობისათვის, განსაზღვრა კონკრეტული ამოცანები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებისა და დებულებების, ხუთწლედის დავალებების შესრულებისათვის.

ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიაში პარტიის ყველა რგოლი კიდევ უფრო დაიჩაზმა, კიდევ უფრო გაძლიერდა და ქმედითუნარიანი გახდა. გაიზარდა კომუნისტთა ავანგარდული როლი წარმოებასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ანგარიშგება-არჩევნებმა კვლავ ცხადყო ჩვენი პარტიის მონოლითური ერთიანობა, მისი მჭიდრო შეკავშირება ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

ჩვენი ფასდაუდებელი კუთვნილება და უძლიერესი იარაღია ლენინისაგან შემკვიდრეობით მიღებული მუშაობის სტილი — შემოქმედებითი, თავისი არსით ღრმა დემოკრატიული სტილი. იგი მტკიცედ დამკვიდრდა პარტიაში და კარგად ემსახურება კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის ინტერესებს.

ლენინური სტილის ნამდვილი ნიმუშია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის საქმიანობა. ეს იმის შესანიშნავი მაგალითია, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ ნამდვილად ლენინურად, მეცნიერულად, საერთო-სახალხო ინტერესების პოზიციით მივუდგეთ კომუნისტური მშენებლობის ყველა ამოცანის გადაწყვეტას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პირნათლად იხდის ისტორიულ ვალს ხალხის წინაშე, ამართლებს მის ნდობას, იმიტომ, რომ იგი თანამიმდევრულად ახორციელებს ლენინიზმის იდეებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მაღლა აფარებს ლენინის დროშას

(გაგრძელება).

დროშით აშენებენ ახალ ცხოვრებას მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხები, დღენიადაგ მტკიცდება ჩვენი სოციალისტური თანამეგობრობა.

ლენინიზმის იდეები უდიდეს კეთილხაყოფიერ გავლენას ახდენდა და კვლავ ახდენს საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარებაზე. ყველა კონტინენტზე ისინი მილიონობით ადამიანს აღაფრთოვანებს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის საბრძოლველად.

საბჭოთა ხალხი ლენინის დაბადების 109-ე წლისთავს ხვდება შემოქმედებითი ძალებით აღსავსე, საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, მტკიცე გადაწყვეტილებით, რომ წარმატებით შეასრულოს სკკპ XXV ყრილობის წინასწარდასახულობანი, მეათე ხუთწლედის გეგმები. თავისი ნაკადი ავანგარდის— კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით იგი გულდაჯერებით მიდის ლენინური გზით კომუნიზმისაკენ!

ხალხისათვის სამსახური ლენინის პარტიის უმაღლესი მოწოდებაა

ამხანაგებო!

მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე, მთელი თავისი გენია ლენინმა მიუძღვნა საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნისათვის, მუშათა კლასის, ყველა მშრომელის განთავისუფლებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლას. ამას ასწავლიდა ჩვენს პარტიას, ეს მიაჩნდა მის უმაღლეს მოწოდებად.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ ასრულებს ლენინის ანდერძს. პარტია არსებობს ხალხისათვის, განუყოფელია მისგან, მტკიცედ არის დაკავშირებული მასთან. მთელი მისი საქმიანობა ხალხის უანგარო სამსახურშია. კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე იზრდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორალურ-პოლიტიკური ავტორიტეტი, სულ უფრო სრულად ვლინდება მისი, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალის როლი. ჩვენი ხალხი მჭიდროდ არის შეკავშირებული მშობლიური ლენინური პარტიის გარშემო, უსაზღვროდ ენდობა მას, აქტიურად უჭერს მხარს მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

მაგრამ, როგორც ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევმა აღნიშნა, ხალხის ნდობა მომთხოვნი ნდობაა. ამიტომ პარტიის ყოველგვარი გადაწყვეტილება, ყოველი მისი ნაბიჯი პოლიტიკაში, ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ისეთი უნდა იყოს, რომ კიდევ უფრო მტკიცდებოდეს პარტიისა და ხალხის ერთიანობა, რომ ხალხის ნდობა პარტიისადმი კვლავაც ურყევი დარჩეს.

თავისი პოლიტიკით, შემადგენლობით, საქმიანობის მეთოდებით — ეს არის მასების პარტია ლენინური გაგებით. რა ამოცანებსაც უნდა წყვეტდეს პარტია ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, იგი ყოველთვის ითვალისწინებდა და ითვალისწინებს მშრომელთა ინტერესებს, აყენებდა მათ ყველაზე მაღლა.

პარტია ფხიზლად ჭვრეტს მომავალს, მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი გამოყენების საფუძველზე განსაზღვრავს საზოგადოებრივი განვითარების პერსპექტივებს, მეცნიერულად უჩვენებს ხალხს წინსვლის გზებს, აღვიძებს მასებში გიგანტურ ენერგიას.

თანამედროვე ეტაპზე კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის თეორიის, სტრატეგიისა და ტაქტიკის ძირეული პრობლემები ღრმად არის დამუშავებული პარტიის XXIII, XXIV და XXV ყრილობების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში, სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში. ეს დოკუმენტები გამსჭვალულია ქვეყნის ბედისათვის, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით. მათში წამოყენებული დებულებანი დიდი წვლილია მარქსიზმ-ლენინიზმის საგანძურში. ამ დებულებებით შეიარაღებულია პარტია, მთელი ხალხი, ისინი ხელს გვიწყობენ წარმატებით გადავწყვიტოთ კომუნისტური აღმშენებლობის გრანდიოზული ამოცანები.

მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური კურსის თანამიმდევრული განხორციელება უზრუნველყოფს მომწიფებული სოციალიზმის შესაძლებლობების სულ უფრო სრულ გამოყენებას, საბჭოთა საზოგადოების მატერიალური და სულიერი ძალების დინამიკურ განვითარებას, საშუალებას გ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მაღლა აცარებს ლენინის დროშას

(დასასრული)

ჩვენი ეკონომიკის მძლავრი განვითარებით აღინიშნა სკკპ XXV კრებულობის შემდგომი პერიოდი. მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში სამრეწველო პროდუქციის მატება შეადგინა 80 მილიარდ მანეთზე მეტი, რაც 50-იანი წლების შუახანებში მისი ყოველწლიური წარმოების მთელ მოცულობას უდრის.

შესამჩნევად დაჩქარდა სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპი. შარშან სოფლის მშრომელების, მთელი საბჭოთა ხალხის მეცადინეობით მოვიგეთ ძნელი ბრძოლა მოსავლისათვის, მოვიწიეთ მარცვლეულის რეკორდული მოსავალი. ამ სახელოვან გამარჯვებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს რუსეთის ფედერაციის, უკრაინისა და ყაზახეთის მიწათმოქმედებმა. მთელი დამზადებული პურის თითქმის ნახევარი მოგვცეს ყამირი მიწების რაიონებმა, რომელთა ათვისების 25-ე წლისთავი ახლახანს აღვნიშნეთ.

ყამირის გმირული ეპოპეა იმის თვალსაჩინო მაგალითია, რომ ხორციელდება ლენინური იდეები ჩვენი სამშობლოს მიწის უდიდეს სიმდიდრეთა გამოყენების შესახებ. თვალსაჩინო როლი ამ საქმეში სამართლიანად ეკუთვნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომლის მჩქეფარე ენერგია, ნიჭიერი ორგანიზატორული მოღვაწეობა რაზმავდა მასებს დიადი შრომითი გმირობისათვის.

ამხანაგებო! განვითარებული სოციალიზმის პირობებში მშრომელთა წინაშე გადაშლილია ფართო ასპარეზი, რათა გამოიჩინონ ინიციატივა და ენერგია სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა სფეროში. ეს გასაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება სოციალისტური შეჯიბრების უმაგალითო გაქანებით, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების მოძრაობით.

შეჯიბრების მონაწილეთა ავანგარდში, როგორც ყოველთვის, არიან მოსკოვის, ლენინგრადისა და ქვეყნის სხვა უდიდესი ინდუსტრიული ცენტრების მშრომელები.

ლენინი გვასწავლიდა, რომ ყოველი ამოცანის გადაწყვეტაში დავყრდნობოდით „თვით მასებში წარმოშობილ თავისუფალ თაოსნობას“. ასრულებენ რა ამ პრინციპს, ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ყოველნაირად უჭერენ მხარს წარმოების ნოვატორებისა და შრომითი კოლექტივების მოწინავე გამოცდილებას, საყურადღებო ინიციატივებს, რომლებიც დღენიადაგ წარმოიშობა სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობაში.

სულ უფრო ვრცელდება ისეთი პატრიოტული თაოსნობანი, როგორიც არის როსტოველთა მაგალითისამებრ მოძრაობა — ვიმუშაოთ უჩამორჩენილებოდ, მოსკოვის მშენებლობებზე შობილი ბრიგადული იჯარა, იპატოვოელ და იამპოლელ სოფლის მშრომელთა თაოსნობა, სხვადასხვა სახეობის ტრანსპორტის ეფექტიანი გამოყენების ლენინგრადელთა გამოცდილება და ბევრი სხვა.

პარტიას მიაჩნია, რომ შეჯიბრების ხელმძღვანელობა, ახლის, პროგრესულის დანერგვა ცოცხალი საქმეა, რომელიც ვერ ურიგდება ფორმალიზმს, აქ საჭიროა ნამდვილი გერგილიანობა, კონკრეტულობა, მაღალი ოპერატიულობა. „ჩვენ, — ხაზგასმით აღნიშნავს ლ. ი. ბრეჟნევი, — არ გვჭირდება ხმაური და ჰაი-ჰუი შეჯიბრების გამო. ჩვენ გვჭირდება თითოეული მშრომელის, თითოეული შრომითი კოლექტივის ცოცხალი დაინტერესება თავისი მუშაობის გაუმჯობესებით. ჩვენ არ გვჭირდება გამოგონილი „თაოსნობები“. ჩვენ გვჭირდება საქმიანი, ნამდვილად მასების შუაგულიდან მომავალი ინიციატივები, რომლებსაც შეუძლიათ აღანთონ და -ფრთა შეასხან მილიონობით ადამიანს“.

პარტიამ ეკონომიკური საქმიანობის ცენტრში მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების ამოცანა დააყენა და უწინარეს ყოვლისა ამისათვის წარმართავს სოციალისტურ შეჯიბრებას, მშრომელთა მთელ შემოქმედებითს ენერგიას.

მასების ინიციატივაზე მტკიცე დაყრდნობა საშუალებას გვაძლევს ოპტიმალური გავხადოთ ჩვენი გეგმები, მივაღწიოთ მათს გადაჭარბებით შესრულებას, გამოვავლინოთ და ავამოქმედოთ ეკონომიკური ზრდის ახალ-ახალი რეზერვები. საკმარისია ითქვას, რომ ხუთწლედის სამი წლის მანძილზე შემხვედრი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულების შედეგად დავალების დამატებით რეალიზებულია თითქმის 11 მილიარდი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ამ ხნის მანძილზე წარმოებაში დაინერგა 12 მილიონზე მეტი რაციონალიზატორული წინადადება და გამოგონება, რომელთა ეკონომიკური ეფექტი 16 მილიარდ მანეთს შეადგენს. აი, რას გვაძლევს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა!

ამხანაგებო! ღირსეულად აფასებს რა მიღწეულს, სკკპ ცენტრალური კომიტეტი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების, ყველა მშრომელის ყურადღებას მიაპყრობს არსებულ ხაკლოვანებებს, გადასაწყვეტ პრობლემებს. კვლავაც უნდა გავაუმჯობესოთ კაპიტალური მშენებლობა, უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ ქვეყნის მზარდი მოთხოვნილებანი ლითონსა და სამშობლოზე, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, სახალხო მოხმარების საქონელზე, სრულვყოთ ტრანსპორტის მუშაობა.

დღეს ჩვენი უპირველესი ამოცანა ის არის, რომ მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ 1979 წლის, საერთოდ მეათე ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმა, უფრო სრულად გამოვიყენოთ ეკონომიკური განვითარების ინტენსიური ფაქტორები. ამას უსახავს მიზნად პარტიასა და ხალხს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ივლისისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებანი. ამ ამოცანების განხორციელება მოითხოვს, რომ გამოვძებნოთ ყველაზე ეფექტიანი და ეკონომიური გზები მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევისათვის, დისციპლინისა და ორგანიზებულობის შემდგომი ამაღლებისათვის.

პარტიის მოწოდებას — გადავაქციოთ 1979 წელი დამკვრელური შრომის წლად, ვიცხოვროთ, ვიმუშაოთ და ვიბრძოლოთ ლენინურად, კომუნისტურად — მხურვალედ გამოეხმაურა ჩვენი ხალხი. ათასობით კოლექტივმა, მილიონობით მშრომელმა იკისრა ვალდებულებანი და თავდადებით იბრძვის მიმდინარე წლის გეგმებისა და ხუთწლიანი დავალებების ვადამდე შესრულებისათვის, პროდუქციის წარმოების ტექნიკური დონისა და ხარისხის ამაღლებისათვის, ახალ სიმძლავრეთა მწყობრში ჩაყენებისა და ათვისების ვადების შემცირებისათვის. სოფლის მშრომელები ორგანიზებულად ასრულებენ მინდვრის სამუშაოებს, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა კარგი საფუძველი ჩაუყარონ მომავალ მოსავალს.

ხვალ მოსკოველთა მოწოდებით საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად გამოვლენ სრულიად საკავშირო კომუნისტურ შაბათობაზე. თავისი უანგარო დამკვრელური შრომით ისინი ღირსეულად აღნიშნავენ დიადი თაოსნობის მე-60 წლისთავს.

ამხანაგებო! მასების ცხოველი შემოქმედება მთელი ძალით, მთელი მრავალფეროვნებით ვლინდება ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ეს მიაჩნდა ლენინს სოციალისტური დემოკრატიის გადამწყვეტ უპირატესობად ბურჟუაზიულთან შედარებით. კაპიტალისტები, წერდა იგი, ათასნაირი ხრიკებით — მით უფრო ოსტატური და უტყუარი მოქმედი ხრიკებით, რაც უფრო განვითარებულია „წმინდა“ დემოკრატია, — „აცილებენ მასებს მმართველობაში მონაწილეობისაგან, მაშინ როცა საბჭოთა ხელისუფლება მასებს იზიდავს მმართველობაში.

ამის დამაჯერებელი დადასტურებაა მთელი თანამედროვე სინამდვილე. პარტიის ხელმძღვანელობით სსრ კავშირში შექმნილი განვითარებული სოციალიზმის პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს მშრომელთა სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, ადამიანის რეალური უფლებებისა და თავისუფლებების შეხამებას მალალ მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობასთან. საბჭოთა პოლიტიკური სისტემა ჭეშმარიტად სახალხო, ჭეშმარიტად დემოკრატიულია და უაღრესად შეესაბამება კომუნისტური აღმშენებლობის ამოცანებს.

ჩვენი წყობილების ღრმა დემოკრატიზმს განასახიერებენ დეპუტატთა საბჭოები. რევოლუციის ქარცეცხლში შობილნი, ისინი ამჟამად შეადგენენ საერთო-სახალხო სახელმწიფოს პოლიტიკურ საფუძველს. საბჭოები, ამბობდა ლენინი, თვით მშრომელებისა და ექსპლოატირებული მასების უშუალო ორგანიზაციაა, რომელიც მათ **უადვილებს** შესაძლებლობას — თვითონ მოაწყონ სახელმწიფო და განაგონ იგი ყოველნაირად.

ათმილიონობით მშრომელი უშუალოდ მონაწილეობს სოციალისტური მეურნეობრიობის, სოციალური და კულტურული განვითარების საკითხთა გადაწყვეტაში. პროფკავშირების, კომკავშირის, სახალხო კონტროლის ორგანოების მეშვეობით. ეს და სხვა მასობრივი ორგანიზაციები ნაყოფიერად მუშაობენ, აქტიურ როლს ასრულებენ კომუნისტურ მშენებლობაში.

კომუნისტური პარტია, როგორც ჩვენი პოლიტიკური სისტემის ბირთვი, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ყურადღებასა და მეცადინეობას წარმართავს სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაშლისაკენ. ეს ნაკარნახევია კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის ინტერესებით და საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების მთავარი მიმართულებაა.

ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო კონტროლის საყაროობის გაფართოებას, გაძლიერებას, საზოგადოებრივი აზრის მუდმივ გათვალისწინებას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლას. მთავარია, როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავდა, რომ თითოეული საბჭოთა ადამიანი გრძნობდეს თავის კავშირს სახელმწიფო საქმეებთან, დარწმუნებული იყოს, რომ მის აზრს, მის ხმას ყურად იღებენ და გაითვალისწინებენ დიდ თუ მცირე გადაწყვეტილებათა შემუშავების დროს.

სსრ კავშირის ახალმა კონსტიტუციამ, რომლის შემოქმედია მთელი ხალხი, მნიშვნელოვნად გააფართოვა მოქალაქეობრივი უფლებანი და თავისუფლებანი, შეუქმნა საბჭოთა ადამიანებს კიდევ უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობანი იმისათვის, რომ მთელი ძალ-ღონე მოახმარონ, გამოიჩინონ უნარი ცხოვრების ყველა სფეროში. ახალი კონსტიტუცია, რომელმაც დაამკვიდრა სახელმწიფოებრიობის, მომწიფებული სოციალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სისტემის ყველაზე დამახასიათებელი, მყარი ნიშანთვისებები, საბჭოთა დემოკრატიზმის განვითარების ახალი, უფრო მაღალი საფეხურია.

მისი ნამდვილი ზეიმი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, რომელიც მარტში გაიმართა. არჩევნებმა ჩაიარა პარტიისა და ხალხის შემდგომი შეკავშირების ნიშნით, კვლავ ცხადყო ამომრჩეველთა უაღრესად მაღალი პოლიტიკური აქტიურობა. კენჭისყრაში მონაწილეობდა ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტი. მათ შორის 99,9 პროცენტმა ხმა მისცა კომუნისტთა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის კანდიდატებს. არჩევნებმა ახალი ძალით ცხადყო ჩვენი სახელმწიფო წყობილების უდავო უპირატესობა ბურჟუაზიულთან შედარებით.

ბურჟუაზიული პარლამენტებისაგან განსხვავებით, რომლებშიც მონაწილეობას, როგორც ლენინი აღნიშნავდა, მოკლებული არიან მშრომელები ათასნაირი დაბრკოლებებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო განასახიერებს ნამდვილ სახალხო ხელისუფლების ორგანოს. მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი მუშები და კოლმეურნეები არიან. მასში ფართოდ არიან წარმოდგენილი ინტელიგენცია, ქალები, ახალგაზრდობა, სხვადასხვა კატეგორიის მშრომელები, ჩვენი ქვეყნის ერები და ეროვნებანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართულმა პლენუმმა და სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ ღირსეულად დააგვირგვინეს საარჩევნო კამპანია. პლენუმსა და სესიაზე სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ახლად შექმნილი ორგანოების წინაშე ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლებში დასახულია კონკრეტული ამოცანები სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულების განხორციელების შესახებ. მიღებული გადაწყვეტილებანი, უთუოდ, საშუალებას მოგვცემს უფრო სრულად გამოვიყენოთ ჩვენი საბჭოების, საბჭოთა დემოკრატიის უდიდესი საარსებო ძალა.

ჩვენი პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა, უპირატესობანი განსაკუთრებით ნათლად ჩანს კაპიტალიზმის პოლიტიკური სისტემის ქრონიკული მერყეობის, ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიზისის ფონზე. მონოპოლიათა ბატონობის მექანიზმში სულ უფრო ხშირად ხდება აშკარა შეფერხებები. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა ხანგრძლივი სამთავრობო კრიზისები. მწვავე კონფლიქტები მმართველ წრეებში, დიდი პოლიტიკური სკანდალები, კორუფცია, რომელიც ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებსაც კი მოედო. იზრდება ამომრჩეველთა რიცხვი, რომლებიც თავს არიდებენ ხმის მიცემას.

ამხანაგებო! ლენინი გვასწავლიდა, რომ მასების აღმშენებლობითი შემოქმედების, სოციალისტური სახელმწიფოს ძალის უმნიშვნელოვანესი წყაროა მშრომელთა შეგნება, მათი ერთგულება კომუნიზმის იდეებისადმი. მთელი ჩვენი გამოცდილება, მთელი ჩვენი ყოველდღიური პრაქტიკა სავსებით ადასტურებს ამას. რაც უფრო მტკიცეა კომუნისტური მრწამსი, რაც უფრო მაღალია საბჭოთა ადამიანების პოლიტიკური კულტურის, განათლების დონე, მით უფრო ღრმად აღიქვამენ ისინი პარტიის პოლიტიკას, მით უფრო წარმატებით ახორციელებენ მას, მით უფრო მაღალია მასების შრომითი და სოციალური აქტიურობა.

სწორედ ამიტომ არის, რომ პარტია ბეჯითად ამკვიდრებს მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობას საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებს, კომუნისტური ზნეობის პრინციპებს, გადაჭრით იბრძვის ჩვენთვის უცხო იდეოლოგიის ყოველი გამოვლინების, ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში წარსულის გადმონაშთების წინააღმდეგ.

და თუ კომუნისტური მშენებლობის მსვლელობაში სულ უფრო სრულად ვლინდება საბჭოთა ადამიანების ისეთი შესანიშნავი თვისებები, როგორიც არის მაღალი იდეურობა, ნადვილად შემოქმედებითი დამოკიდებულება შრომისადმი, სულიერი სიმდიდრე, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია, ეს ბევრად არის ჩვენი კომუნისტური პარტიის ყოველდღიური, მიზანდასახული იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შედეგი.

მისი სულისკვეთებისათვის უაღრესად უცხოა, როგორც არაერთხელ აღუნიშნავს ლენინს, პოლიტიკური ლაქლაქი და ზოგადი მაღალფარდოვანი ფრაზები, უკვე ცნობილ ჭეშმარიტებათა მექანიკური განმეორება. პარტიული პროპაგანდის, მთელი იდეოლოგიური მუშაობის უურყევი ლენინური პრინციპები იყო და არის სიმართლე, მეცნიერულობა, სიცხადე, იმის უნარი, რომ ღრმად და ოპერატიულად, ზუსტად კლასობრივი პოზიციებიდან განმარტოს საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების მომწიფებული პრობლემები, მოვლენების არსი.

ახალი საზოგადოების აშენების პროცესში ჩვენი პარტია ერთ მძლავრ ნაკადად აერთიანებს მილიონობით ადამიანის ნებასა და მეცადინეობას, ყოველ სიბეჯითეთა ადამიანი თავისი შრომით აახლოებს კომუნიზმის გამარჯვებას. მასების ცოცხალ შემოქმედებასთან პარტიის ლენინური პოლიტიკის ორგანული შერწყმა ყველა ეტაპზე გამარჯვების საწინდარია.

მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ლენინური კურსით

ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტურ მშენებლობას, შეუნელებელ ყურადღებას უთმობს საერთაშორისო საკითხებს. აქ ისევე, როგორც ყველა შინაურ საქმეში, პარტიისათვის უტყუარი კომპასია ლენინური მოძღვრება.

ზავის შესახებ ისტორიული დეკრეტით იღებს დასაბამს მშვიდობის პროგრამა, რომელიც სკკპ XXIV კრებულობამ მიიღო და XXV კრებულობამ განავითარა. ოქტომბრის გამარჯვების უკვე მეორე დღეს ლენინმა საბჭოების კრებულობის ტრიბუნიდან წინასწარმეტყველურად თქვა: „მუშათა მოძრაობა გაიმარჯვებს და გაიკაფავს გზას მშვიდობისა და სოციალიზმისაკენ“.

ახლა სრული უფლება გვაქვს ვთქვათ: უპირველეს ყოვლისა სოციალისტურ თანამეგობრობას, მუშათა და კომუნისტურ მოძრაობას უნდა უმადლოდეს კაცობრობა იმას, რომ ჩვენს წლებში მოხდა შემობრუნება „ცივი ომიდან“ დაძაბულობის შენელებისაკენ, დაისახა მსოფლიო პოლიტიკური კლიმატის რადიკალური გაჯანსაღების პერსპექტივა.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, გვეამაყება, რომ ეს სასიკეთო გარდაქმნები უდიდესწილად დაკავშირებულია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიის როლთან, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელთან. მთელ პროგრესულ კაცობრობას იგი მიაჩნია მშვიდობის დიდ ქომაგად. მსოფლიოს მილიონობით ადამიანი ლეონიდ ილიას ძეს გულწრფელ მადლობას უძღვნის ხალხთა უშიშროებისა და ბედნიერების საკეთილდღეოდ ტიტანური შრომისათვის.

ამხანაგებო! დღეს საერთაშორისო ცხოვრებაში მკაფიოდ ვლინდება ორი წინააღმდეგობრივი ტენდენცია. ერთი მხრივ, გრძელდება კონსტრუქციული დიალოგი სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა შორის, დღენიადაგ ივსება დაძაბულობის შენელება ახალი მატერიალური შინაარსით. მეორე მხრივ, წარმოიქმნება მწვავე კონფლიქტური სიტუაციები, იმპერიალიზმისა და რეაქციის ძალები ცდილობენ ჩაერიონ სხვა ხალხების საშინაო საქმეებში. განსაკუთრებით საშიშია ნატოს წრეების პოლიტიკა, რომლის მიზანია გამალებული შეიარაღების გაძლიერება.

იმპერიალიზმის პოლიტიკას უკავშირდება ჩინეთის ხელმძღვანელთა შოვინისტური, ჰეგემონისტური კურსი, რომლებიც ცდილობენ მოაგვარონ თანამშრომლობა რეაქციის ძალებთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სოციალისტური თანამეგობრობის წინააღმდეგ ბრძოლის პლატფორმაზე. პეკინელ ლიდერთა განზრახვას — კვლავაც მისდიონ იმპერიალიზმის პოლიტიკას — მოწმობს მათ მიერ ცალმხრივად მიღებული გადაწყვეტილებაც საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1950 წელს დადებული მეგობრობის, კავშირისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ყოველივე ეს ეწინააღმდეგება მშვიდობის ინტერესებს, უშუალოდ ლახავს თვით ჩინელი ხალხის ინტერესებსაც.

ჩინეთის საგარეო პოლიტიკის თავისებური სავიზიტო ბარათი გახდა თავხედური აგრესია ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის წინააღმდეგ. მან თვალნათლივ ცხადყო პეკინის ექსპანსიონისტური მისწრაფებანი, ის დიდი საფრთხე, რომელსაც ისინი უქმნიან მშვიდობასა და სტაბილურობას აზიაში, მთელ მსოფლიოში. როგორც მოსალოდნელი იყო, ეს დანაშაულებრივი ავანტიურა ჩინეთისათვის სამარცხვინო მარცხით დამთავრდა.

გმირმა ვიეტნამელმა ხალხმა თავისი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ღირსეული პასუხი გასცა აგრესორებს. ვიეტნამთან სოლიდარობის ტალღამ გადაუარა მთელ მსოფლიოს. ვიეტნამის სამართლიანი საქმის დასაცავად მტკიცედ გამოვიდნენ საბჭოთა კავშირი, სხვა მოძმე ქვეყნები. ვიეტნამელი ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების ღრმა ინტერნაციონალისტური გრძნობები კვლავ მკაფიოდ გამოვლინდა იმ მისწრაფებით, რომ კომუნისტურ შაბათობაზე გამომუშავებული სახსრები გადარიცხონ მოძმე ვიეტნამისადმი დახმარების ფონდში.

ჩვენი პარტია, საბჭოთა სახელმწიფო კვლავაც განამტკიცებენ მეგობრობას სოციალისტურ ვიეტნამთან, ლაოსთან და კამპუჩიასთან, რომლებიც იცავენ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის წმიდათაწმიდა საქმეს, განავითარებენ ხელსაყრელ ურთიერთობას ინდოჩინეთის ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც თანამიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას, იღვწის მსოფლიოს სოციალიზმის პოზიციების შემდგომი გაძლიერებისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ურთიერთობას მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან. ჩვენი სახელმწიფოების ყოველმხრივი ურთიერთმოქმედებით ხორცს ისხამს ხალხთა შორის ახალი, სოციალისტური ტიპის ურთიერთობა, რომელიც ლენინმა განჭვრიტა.

მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ურყევ საფუძველზე წლითიწლობით მტკიცდება ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობა, ვითარდება მათი თანამშრომლობა ყველა სფეროში. ამას ეფექტიანად უწყობს ხელს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრები მოძმე პარტიებისა და სახელმწიფოების ხელმძღვანელებთან. ეს შეხვედრები სოციალისტური თანამეგობრობის შემდგომი განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია.

განუწყვეტლივ ღრმავდება სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია. მის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს. არსებობის 30 წლის მანძილზე მან დიდი გზა განვლო. უკანასკნელი წლების მანძილზე მის საქმიანობაში თვისებრივად ახალი ნაბიჯი გახდა თანამშრომლობის გრძელვადიანი მიზნობრივი პროგრამების შემუშავება, რომელთა მიზანია ენერგეტიკის პრობლემების გადაწყვეტა, ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, მოძმე ქვეყნების ეკონომიკის საერთო აღმავლობა და ხალხთა კეთილდღეობის გაუმჯობესება.

სოციალისტური ეკონომიკური ინტეგრაცია ეროვნულ მეურნეობათა აღმავლობის, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიკური პოტენციალის განმტკიცების საიმედო მარშრუტია.

მჭიდრო ურთიერთმოქმედებით სოციალისტური ქვეყნები წყვეტენ თანამედროვეობის ისეთ საკვანძო პრობლემას, როგორიც არის გამალებული შეიარაღების შეწყვეტა. ამას ისახავს მიზნად ახალი კონსტრუქციული წინადადებანიც, რომლებიც წამოყენებულია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის 1978 წლის მოსკოვის თათბირზე, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის წინასაარჩევნო სიტყვაში.

სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ბირთვული განიარაღების პრობლემა. დიდი ხანია დადგა დრო ბოლო მოეღოს ბირთვული არსენალების ზრდას და საქმე ისე წარვმართოთ, რომ ატომის მძლავრი ენერგია მხოლოდ მშვიდობიან მიზნებს ხმარდებოდეს.

დღევანდელობის მოთხოვნაა პოლიტიკური დაძაბულობის შენელება დაემატოს სამხედრო დაძაბულობის შენელება. ამ გზაზე დიდმნიშვნელოვანი ეტაპი უნდა გახდეს სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის ახალი შეთანხმების დადება. საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების წარმატებით დამთავრება დასახავს ახალ შესაძლებლობებს, რათა ახალი ნაბიჯი გადაიდგას განიარაღების, გზაზე.

საბჭოთა კავშირი ყოველთვის იღვწის იმისათვის, რომ კიდევ უფრო დამკვიდრდეს სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები. ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის შარშანდელ ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

უახლოეს დროში გაიმართება საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის უმაღლესი დონის მოლაპარაკება. ყველა საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისა და საფრანგეთის პრეზიდენტის ჟისკარ დესტენის მორიგი შეხვედრის შედეგად კიდევ უფრო გაფართოვდება საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის ნაყოფიერი თანამშრომლობის ჰორიზონტები ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებისათვის.

საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს ლენინურ საგარეო პოლიტიკას, ისწრაფვის დაძაბულობის შენელებას მიანჭოს შეუქცევადი ხასიათი, აღმოფხვრას ახალი მსოფლიო ომის საფრთხე. „ჩვენი მიზანია, — განაცხადა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — საბჭოთა ხალხის მტკიცე მშვიდობა და უშიშროება, მსოფლიოს ყველა სახელმწიფოს მტკიცე მშვიდობა და მშვიდობიანი თანამშრომლობა. და ამ მიზნის მისაღწევად ვიბრძოლებთ დაუცხრომლად, ძალ-ღონისა და ენერგიის დაუზოგავად“.

ამხანაგებო! ჩვენი ხანა ბევრ ქვეყანაში ღრმა სოციალურ გარდაქმნათა ხანაა. აზიაშიც, აფრიკაშიც, ლათინურ ამერიკაშიც ხალხები ესწრაფვიან განაგებდნენ თავის ბედ-იღბალს და როცა ემხობა ტირანული რეჟიმები, ამით მოგებული რჩებიან ასეთი რეჟიმების უღელქვეშ მყოფი ხალხებიც, და საბოლოო ანგარიშით მთელი კაცობრიობის მშვიდობისა და პროგრესის საქმეც.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ჩვენი ქვეყნის ჭეშმარიტად ლენინური, ინტერნაციონალისტური დამოკიდებულება დასტურდება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მთელი საგარეო-პოლიტიკური საქმიანობით. რამდენი ათწლეულის მანძილზე ამტკიცებდნენ პროფესიონალი მატყუარები „მოსკოვის ხელის“ არსებობას! ამ ზღაპრისა ახლა ცოტა ვინმეს თუ სჯერა. მაგრამ აი, რაც შეეხება იმპერიალიზმის, რეაქციის „ხელს“, მისი არსებობა ტრაგიკულ გავლენას ახდენს ხალხთა ბედზე, მათს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობაზე, ახლო აღმოსავლეთში იქნება ეს, სამხრეთ აფრიკაში თუ ლათინური ამერიკის ქვეყნებში — ყველგან, სადაც მიმდინარეობს მწვავე ბრძოლა წარსულის ძალებსა და იმ ძალებს შორის, რომლებსაც მომავალი ეკუთვნის.

ურთიერთპატივისცემა, კეთილი თანამშრომლობა და გულწრფელი მეგობრობა აერთიანებს ჩვენს ქვეყანასა და კოლონიური ჩაგვრისაგან განთავისუფლებულ ათობით სახელმწიფოს. ვასრულებთ რა ლენინის ანდერძს, კვლავაც განვამტკიცებთ ამ მეგობრობას, განვავითარებთ ამ თანამშრომლობას.

თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიოში უცილობლად მოითხოვს მტკიცე წინააღმდეგობა გავუწიოთ დაძაბულობის შენელების ყველა მტერს, სამხედრო ავანტიურების მოყვარულთ. სსრ კავშირი ყურადღებით ადევნებს თვალს მშვიდობის მოწინააღმდეგეთა ხრიკებს და დროულად მიმართავს ღონისძიებებს თავისი უშიშროებისა და მოკავშირეების უშიშროების უზრუნველყოფისათვის. საბჭოთა ხალხს სავსებით შეუძლია დაეყრდნოს თავის მამაც შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ფხიზლად იცავენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს, მტკიცედ დგანან მშვიდობის სადარაჯოზე.

მშვიდობისა და სოციალური განახლების ძალები სულ უფრო მეტად განსაზღვრავენ ისტორიის მიმდინარეობას. რევოლუციურ ცვლილებათა ჯაჭვი გრძელდება. ამ პირობებში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას — თანამედროვეობის ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალას. მისი ავტორიტეტი, ბრძოლისუნარიანობა, როლი მსოფლიო რევოლუციურ პროცესში თანდათან იზრდება. და ეს გავლენა მით უფრო ძლიერია, რაც უფრო თანამიმდევრულად ხელმძღვანელობენ კომუნისტური პარტიები ყველაზე მოწინავე თეორიით — მარქსის, ენგელსის, ლენინის თეორიით.

მთელი მსოფლიოს კომუნისტების, მუშათა კლასისა და მშრომელების ერთიანობა, ინტერნაციონალური სოლიდარობა დღეს განსაკუთრებით საჭიროა სოციალიზმის პოზიციების შემდგომი განმტკიცების, ხალხთა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის, იმისათვის, რომ წარმატებით იბრძოლონ დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის.

ამხანაგებო! ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიჟრაჟზე ლენინი ამბობდა, რომ „ჩვენი საბჭოეთის სოციალისტური რესპუბლიკა მტკიცედ იდგომება როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ჩირაღდანი და როგორც მაგალითი მთელი მშრომელი მასების წინაშე“. ლენინის ეს წინასწარმეტყველება დღეს რეალობად იქცა.

საბჭოთა ხალხის წარმატებებმა კომუნიზმის მშენებლობაში, მისმა მძლავრმა ინტერნაციონალისტურმა მხარდაჭერამ მშვიდობის, თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობისათვის ყველა მებრძოლისადმი ჩვენს სამშობლოს მოუპოვა უდიდესი საერთაშორისო ავტორიტეტი, მძლავრ, მზარდ ზემოქმედებას ახდენს მსოფლიო მოვლენების მსვლელობაზე.

დიადი მიზნისაკენ სწრაფვას, მთელი მრავალფეროვანი აღმშენებლობითი საქმიანობის ორგანიზებულობასა და დინამიზმს ჩვენს ხალხს ანიჭებს მისი პოლიტიკური ბელადი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. თავისი დამაარსებლისა და მასწავლებლის ანდერძის ურყევად ერთგულს, მას მაღლა უჭირავს ლენინის დროშა.

გაუმარჯოს ლენინურ კომუნისტურ პარტიას!
გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს!
გაუმარჯოს ლენინიზმს!

(მოხსენება დიდი ყურადღებით მოისმინეს. დარბაზში ხშირად გაისმოდა ტაში).

სალიეთის ვარდისფერი...

სალიეთის ვარდისფერი მარმარილო მშენებელთა საყვარელი საშენი მასალაა. იგი ამშვენებს ჩვენი რესპუბლიკის, ცამბირის, შორეული ალმოსავლეთის, შუა აზიის ქალაქების შენობებს, მოსკოვის, თბილისის, ბაქოსა და სხვა ქალაქების მეტროპოლიტენებს.

ამჟამად სალიეთელი ქვისმთალელები პროდუქციას მოსკოვში „ოლიმპიადა-80"-ის მშენებლობაზე გასაგზავნად ამზადებენ. წელს 400 კუბომეტრი ვარდისფერი მარმარილო გაიგზავნება.

სურათზე: მარმარილოს ბლოკების შერჩევის დროს.

ა. მამაკავარიანის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ვ. ჟისკარ დესტენის გამოსვლა

პარიზი, 19 აპრილი. (საკადესი). ტელევიზიით გამოსვლისას საფრანგეთის პრეზიდენტმა ვ. ჟისკარ დესტენმა საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთელი რიგი საკითხები გააშუქა. როცა სსრ კავშირში თავის მომავალ ვიზიტს ეეხო, პრეზიდენტმა თქვა: „ჩვენს ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან საფუძვლად უდევს დამაბულობის შენელება. მას ხანგრძლივი ხასიათი აქვს, რამდენადაც უკვე თოთხმეტი წელია არსებობს და იყო თვალსაჩინო წვლილი ევროპის მშვიდობისა და სტაბილურობის საქმეში".

ვ. ჟისკარ დესტენმა გამოთქვა აზრი, რომ ახლანდელ რთულ საერთაშორისო ვითარებაში საფრანგეთს შეუძლია შეასრულოს დიდი როლი დაძაბულობის შენელების პოლიტიკის განხორციელებაში.

ირანი: რთული ვითარება

თეირანი, 19 აპრილი. (საკადესი). შაჰის მომხრე გარკვეული ელემენტები, რომლებიც მიეტმასნენ რევოლუციას, ცდილობენ არ დაუშვან ახლანდელი ხელმძღვანელობის დემოკრატიული ტენდენციების შემდგომი განვითარება. ვითარება მკვეთრად გამწვავდა, როცა რევოლუციის ერთ-ერთი ლიდერის აიათოლა თალეგანის ორი ვაჟი და რძალი ქუჩაში შეიარღებულმა ადამიანებმა „ისლამის რევოლუციის გუშაგთა კორპუსიდან" იმ მომენტში, როცა ისინი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის წარმომადგენლობის შენობიდან გამოდიოდნენ. მათ სცემეს და გარნეზონის სასამართლო სამართო საკანში დაამწყვდიეს ლავიზანში. ეს აქცია მიზნად ისახავდა უწინარეს ყოვლისა იმას, რომ სახელი გაეტეხათ აიათოლა თალეგანისათვის, რომელიც დემოკრატიულ შეხედულებებს იზიარებს, და არსებითად განხორციელდა ირანის რეაქციული ძალების ინიციატივით. თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად თალეგანი თავისი ოჯახის განთავისუფლებულ წევრებთან ერთად გაემგზავრა დედაქალაქიდან. მისი სამყოფი ადგილი გაურკვეველია.

საიდუმლოების ვითარებაში

ჰაგა. (საკადესი). ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრს მ. დაიანს განზრახული აქვს შემდეგ კვირაში გაემგზავროს ჩინეთში, იუწყება ტელ-ავივიდან გაზეთ „ჰრეკ-ჰანდელსბლადის" კორესპონდენტი. იგი ეწვევა აგრეთვე ტაილანდს, სინგაპურს, ფილიპინებსა და სხვა ქვეყნებს. დაიანის შორეულ აღმოსავლეთში გამგზავრებისათვის მზადება, აღნიშნავს კორესპონდენტი, „სრული საიდუმლოების ვითარებაში" მიმდინარეობს.

საბჭოთა ადამიანების მამაცობა

გაჭირვებიდან იხსნეს...

საქართველოს საზღვაო სანაოსნოს უფროსმა გ. ჩხეიძემ ტანკერ „ნიკოლაი სიპიაგინიდან" რადიოგრამა მიიღო. მასში იტყობინებოდნენ: ავიყვანეთ 32 კაცი უცხოური გემიდან, რომელსაც უბედურება შეემთხვა.

...ეს მოხდა მაშინ, როცა ტანკერი კუბის მატანზასის ნავსადგურიდან ამერიკის ახალი ორლეანის ნავსადგურისაკენ მიემართებოდა. თბომავალს გზად მძვინვარე შტორმი დაატყდა თავს. ფეხზალად იდგნენ ვახტზე კაპიტნის მეეთხე თანაშემწე ს. ნაზარიანი და მატროსი მ. მაკლოზიანი.

— მარცხნივ იალქანს ვხედავ, — მოახსენა მატროსმა.

— გემს უბედურება შემთხვევია, დახმარებას ითხოვს, — დაუზუსტა მევახტის თანაშემწემ.

ტანკერის კაპიტანმა ე. თარბამ ბრძანება გასცა დაუყოვნებლივ შეეცვალათ კურსი და გემს მიახლოებოდნენ. პატარა, ექვსიოდე მეტრი სიგრძის გემს ტალღები ნაფოტივით ათამაშებდა, ყოველ წუთს ჩაძირვის საფრთხე ემუქრებოდა.

იალქნიან გემზე თავდაპირველად მგზავრები არ ჩანდნენ. შემდეგ მეზღვაურებმა ძლივს გაარჩიეს სილუეტები. გაუძნელდათ მგზავრთა რაოდენობის განსაზღვრა. ერთი კი ცხადი იყო — მამაკაცების გარდა გემზე ქალებიც და ბავშვებიც იყვნენ.

კაპიტანმა ბრძანება გასცა ტანკერის კორპუსთან ჩარისაგან დაეფარათ იალქნიანი გემი, მერე კი საშველ სამუშაოებს შესდგომოდნენ. კაპიტანის უფროსი თანაშემწის ა. გალასიუკის ხელმძღვანელობით საშველ სამუშაოებში მონაწილეობდა მთელი ეკიპაჟი. კაპიტნის მეორე თანაშემწე ა. მანუკიანი და ბოცმანი გ. მარტიროსიანი ბაგირისა და სხვა საშუალებების დახმარებით იალქნიან გემზე გადავიდნენ და იგი ტანკერს მიუახლოვეს. საშველი სარტყელების, ბაგირების, შტორმ-ტრაპის დახმარებით დ. მარღოშია, ბ. შაშიქაძე, ა. კირილოვი, ი. დარჩია, ე. ჩერნიკოვი და სხვები ხელიდან ხელში გადასცემდნენ დაზარალებულ მგზავრებს. გემზე 32 კაცი აღმოჩნდა. გადარჩენილთა შორის იყო შვიდი ჰაიტიელი ქალი და ერთი ბავშვი. ყველას აღნოუჩინეს პირველი სამედიცინო დახმარება.

— საბჭოთა ადამიანების მამაცობა, კეთილშობილება მთელ მსოფლიოშია ცნობილი, — თქვა ჰაიტიელმა პიერ ჯანლიმ. — დღეს ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდით ამაში.

ს. ბელსკი,
(საქინფორმის კორ.).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო იუწყება, რომ 1979 წლის 19 აპრილს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 62 წლისა გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს (საკადესის) გენერალური დირექტორი ვლადიმერ პეტრეს შე ხატუნცევი.

ჰოკეისტთა რაზეეგი იგრძვიან

მოსკოვში მიმდინარე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ოთხეულის მეორე ტურში საბჭოთა ჰოკეისტებმა დაამარცხეს კანადელები ანგარიშით 5:2, ხოლო ჩეხოსლოვაკიელებისა და შვედების მატჩი ფრედ დამთავრდა — 3:3. ფინალურ ოთხეულში გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია:

	მ.	ფ.	წ.	ქ.
სსრ კავშირი	2	0	0	4
ჩეხოსლოვაკია	1	1	0	3
შვეცია	0	1	1	1
კანადა	0	0	2	0

დაამარცხეს ჩემპიონი

ფერგანაში გრძელდება რეგბისტთა უმაღლესი ლიგის გუნდების XVI საკავშირო ჩემპიონატი. მეორე ტურის შეხვედრები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი" (თბილისი)-„სახლმშენი" (ქუთაისი) — 12:3, „ელვა" (თბილისი)-„პოლიტექნიკი" (კიევი) — 3:18, სსა (მოსკოვის ოლქი)- „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — 13:9, „სლავა" (მოსკოვი)-„პოლიტექნიკი" (კრასნოიარსკი) — 19:3, „ავიატორი" (კიევი)-„ფილი" (მოსკოვი) — 6:6; მესამე ტურში კვლავ გაიმარჯვა თბილისის „ლოკომოტივმა": რკინიგზელებმა დაამარცხეს შარშანდელ ჩემპიონატში გამარჯვებული კიევის „ავიატორი" — 7:6. ამ ტურის დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „სლავა"-„სახლმშენი" — 23:7, სსა-„პოლიტექნიკი" (კიევი) — 4:0, „ლოკომოტივი" (მოსკოვი)-„პოლიტექნიკი (კრასნოიარსკი) — 21:6, „ფილი"-„ელვა" — 9:6.

სამი ტურის შემდეგ 9-9 ქულით ლიდერობენ თბილისის „ლოკომოტივი" და „სლავა" (წლეულს გუნდს გამარჯვებისათვის 3 ქულა ეწერება, მატჩის ფრედ დამთავრებისათვის — 2, წაგებისათვის — 1). **„ფილის" 8 ქულა აქვს, სსა-ს და მოსკოვის „ლოკომოტივს" — 7-7, „ავიატორს" — 6, კიევის „პოლიტექნიკს" — 5, „ელვას", „სახლმშენს" და კრასნოიარსკის „პოლიტექნიკს" — 3-3 ქულა.**

ლიდერთა შორის

პირველი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატში გათამაშდა მეექვსე ტურის მატჩები. ამ ტურში არ უსპასუხიათ მხოლოდ კრასნოდარის „უუბანსა" და ლვოვის „კარპატს", რომელთა შეხვედრა გადატანილია 11 ივლისისათვის.

ამჟამად ლიდერთა ჯგუფში სატურნირო მდგომარეობა ასეთია: **9-9 ქულა აქვთ იაროსლავლის „შინიკსს" და ქუთაისის „ტორპედოს" (6-6 მატჩიდან). „უუბანს" (5-დან), დნეპროპეტროვსკის „დნეპრს" და ხარკოვის „მეტალისტს" (6-6 თამაშიდან) 8-8 ქულა აქვთ.**



ასპარეზობენ აკრობატები

თბილისის სპორტის სასახლეში დაიწყო სსრ კავშირის თასის გათამაშება აკრობატიკაში. ეაჟთა წყვილებში დაწინაურდნენ კიეველები ი. ტიშლერი და ს. პეტროვი, ავროვეგ, იაროსლავლელები ს. ჩიქევსკი და ვ. ლიაპუნოვი (თითოეულ წყვილს 19,26-19,26 ქულა). ქალთა წყვილებში ლიდერობენ კიეველები ნ. ტიშჩენკო და მ. კურენკო (19,43 ქულა). აკრობატულ ხტომებში ჯერჯერობით ყველაზე მეტი ქულა აქვს (19,63) იაროსლაველ ი. ბრიკმანს. ეაჟთა ჯგუფურ ვარჯიშებში დაწინაურდნენ კრასნოდარისა და კიევის თოხეულები (18,96-18,96 ქულა). საქართველოს აკრობატებმა ფინალისკენ გზა ვერ გაიკაფეს.

ჭადრაკის დაფებთან

მონრეალში დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირის მეშვიდე ტურში დაზავდნენ ტალი-კარპოვი, კავალეკი-პორტიში, სპასკი-ჰიუბნერი. პორტ-ლუბოვეიჩისა და ტიმან-ლარსენს პარტიები გადაიდო. ამჟამად პორტიშს 5 ქულა აქვს, კარპოვს და ტალს — 4,5-4,5, ლუბოვეიჩს და ჰიუბნერს — 4-4.

იუგოსლავიის ქალაქ ბანია-ლუკაში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში კვლავ ლიდერობს ბაქოელი ჭაბუკი გარი კასპაროვი. ექვსი ტურის შემდეგ მას 5 ქულა აქვს. იუგოსლავიელი ბუკიჩი კასპაროვს ერთი ქულით ჩამორჩება. ტ. პეტროსიანს 2,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

სხვადასხვა იარაღიდან ერთ მიზანში



მუდმივი მონაწილე

ვეჯიბრებები სოროლში თანამედროვე ოლიმპიადების ყველა პროგრამაში იყო გათვალისწინებული და სპორტის ამ სახეობაში მოსკოვის ოლიმპიადაშიც იასპარეზებენ.

მსროლელთა ოლიმპიური ასპარეზობის პროგრამა შემუშავებული და შეთანხმებულია მსროლელთა საერთაშორისო კავშირისა (უიტ-ი, დაარსდა 1921 წელს) და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ. იგი შეიცავს 7 დისციპლინას: სროლა ნებისმიერი პისტოლეტით, ჩქარსნული სროლა პისტოლეტით ხუთ ფიგურულ სამიზნეზე, სროლა „გაქცეულ ტახზე", წოლილა მდგომარეობიდან სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანით, სროლა მცირეკალიბრიანი შაშხანით სამი მდგომარეობიდან, სატრაფეო სტენდი და მრგვალი სტენდი.

ვეჯი გარჯა გვმართებს

საქართველოს სპორტკომიტეტს სროლის ორივე სახეობაში არსებული ხარვეზების დასაძლევად მნიშვნელოვანი მუშაობა დასჭირდა. ხარვეზები კი უამრავია, რომლებსაც „საფუძველი" 12-15 წლის წინათ „ჩაეყარა", როცა დიღმისა და თბილისში ხილიანის ეუჩაზე დისაფის ტირი დაინგრა, თითქოს რეკონსტრუქცია დაიწყო და უსაშველოდ გაჭიანურდა... როცა თბილისში და სოხუმში... მონკაკშირის სასროლეთები მოისპო.

მართალია, ეშერაში „დინამოს" ტირის აგებით ეს ნაკლი ერთგვაროდ გამოსწორდა. ეს ძალიან ცოტაა. ქალაქებსა და რაიონებში მონკაკშირისა და დისაფის ადგილობრივმა ორგანიზაციებმა ძალზე ბევრი რამ უნდა გაკეთონ სასტენდო და ტყვიის სროლის განვითარებისათვის. მეტი გარჯა მართებთ სპორტსაზოგადოებათა საბჭოებსა და უწყებებს, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს დიდ საწარმოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში საკუთარი სასროლეთების შენებლობის შესახებ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილების შესრულებას.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა კარს მოგვადგა. ჩვენი მესტენდურები, ტყვიის მსროლელები სპარტაკიადის სტარტებისათვის ცუდად როდი ემზადებიან. ისინი ვაკაკაცურად იბრძოლებენ ყოველი ქულისთვის.

თ. ლეკიშვილი,
საქართველოს სპორტკომიტეტის სახროლო სპორტის განყოფილების უფროსი.

ARქივარიუსის ჩანაწერები

მსროლელთა შედეგები

I სპარტაკიადა (1956 წელი). რაფიელ ანანიკიანი (ᲨᲗᲐ-3 — 596 ქულა) — I ადგილი.

II სპარტაკიადა (1959 წელი). შოთა ქველიაშვილი (ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრზე სროლა, 3X40 — 1108 ქულა) — II ადგილი; ალექსანდრე შილოვი, ვახტანგ სალუქვაძე, დიმიტრი ფილიევი, ბორის სოტნიკოვი, კონსტანტინე პროზოროვი (მცირე კალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე, 60 გასროლა — 2697 ქულა) — III ადგილები.

III სპარტაკიადა (1963 წელი). ლილიანა ქურული (მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე სამი მდგომარეობიდან, 60 გასროლა, 3X20 — 566 ქულა) — I ადგილი; ალექსანდრე სტროევი (მცირე კალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე, ჩოქელი — 391 ქულა), რაფიელ ანანიკიანი, შოთა ქველიაშვილი, ვიქტორ პანკოვი, ალექსანდრე სტროევი (ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრზე, სამი მდგომარეობიდან 120 გასროლა, 3X40 — 4500 ქულა) — II ადგილები; შოთა ქველიაშვილი (მცირეკალიბრიანი შაშხანით 50 მეტრზე, ჩოქელი — 391 ქულა) — III ადგილი.

IV სპარტაკიადა (1967 წელი). ვახტანგ სალუქვაძე (მცირე კალიბრიანი პისტოლეტით მპ-6 — 561 ქულა) — I ადგილი; რაფიელ ანანიკიანი (მცირეკალიბრიანი შაშხანით, წოლილა — 391 ქულა) — III ადგილი; მარლენ პაპავა, ალექსანდრე შილოვი, ოთარ კვირიკაშვილი, ვახტანგ სალუქვაძე (მცირეკალიბრიანი პისტოლეტით, გუნდური — 2209 ქულა) — III ადგილები; შოთა ქველიაშვილი (ნებისმიერი შაშხანით, ჩოქელა — 373 ქულა) — III ადგილი.

საქართველოს მსროლელთა მიერ სპარტაკიადებში მოპოვებული გუნდური ადგილები: 1956 წელს — X, 1959 წელს — X, 1963 წელს — IX, 1967 წელს— VI, 1971 წელს — VIII, 1975 წელს — IX.

XVIII ოლიმპიადა (ტოკიო, 1964 წელი). შოთა ქველიაშვილი (ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრზე სროლა, 3X40 — 1144 ქულა) — II ადგილი.

XIX ოლიმპიადა (მეხიკო, 1968 წელი), შოთა ქველიაშვილი — (ნებისმიერი შაშხანით 300 მეტრზე სროლა, 3X40 — 1142 ქულა) — IV ადგილი.

მესტენდურეთა შედეგები

I სპარტაკიადა (1956 წელი). ბორის ანტონოვი (სტენდი, დუბლეტი, 37 ქულა) — II ადგილი; ზურაბ მაჩხანელი (სასანგრე სტენდი, 281 ქულა) — III ადგილი.

IV სპარტაკიადა (1967 წელი). კარლო დარასელია, საგანელიძის, მაჩხანელის, ალავერდოვის სადარი ბიჭები. თუმცა არის ცვლა, ნიჭიერი ახალგაზრდობა შ. ფეტვიაშვილის, ვ. ამირხანოვის, გ. სიმონიანის, მ. კვაჭაძის და სხვათა სახით. სპარტაკიადა მათთვის პირველი დიდი გამოცდა იქნება. ისიც უნდა ითქვას, რომ რესპუბლიკაში სასტენდო სპორტის განვითარებისათვის კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. „ლოკომოტივსა" და არმიელთა სპორტკლუბს ვერაფერს დავემდურებით, „სპარტაკმა" გვიან დაიწყო ამ სახეობის განვითარებისათვის ზრუნვა, სხვა სპორტსაზოგადოებებში კი ამ მიმართულებით არაფერი კეთდება. თავიდათავი კი ის არის, რომ „მონკაკშირი", რომელსაც კარგი ტრადიციები ჰქონდა, რომლის სპორტმენებიც რესპუბლიკის ნაკრების ბირთვს შეადგენდნენ, სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის აღარაფერს აკეთებს. სპორტის ამ სახეობათა ქომაგების სურვილია, რომ საქართველოს მეთვეზეთა და მონადირეთა საზოგადოება ისევ გულისყურით მოეკიდოს სასტენდო სროლის განვითარებისა და საკუთარი ბაზების ქსელის გაფართოების საქმეს.

მესტენდურებსა და ტყვიის მსროლელებს, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისათვის ემზადებიან, ერთობ განსხვავებული იარაღი აქვთ — სანადირო თოფები, მცირეკალიბრიანი შაშხანები და პისტოლეტები, მაგრამ მიზანი საერთოა — რაც შეიძლება მაღალი შედეგები მოიპოვონ და მეტი ქულები შეიტანონ საქართველოს სპორტული დელეგაციის ყუთაბაში. ასეც უნდა იყოს. წინა სპარტაკიადასთან შედარებით მათ რამდენიმე ნაბიჯით წინ უნდა წაიწიონ. ეს აზრი სპეციალისტების საერთო აზრიც არის.

ო. გელაშვილი.



ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ჩვენი მისამართი და ტელეფონებია:

380096 თბილისი-96, ლენინის 14.

რ ე დ ა ქ ც ი ა:

რედაქტორის მოადგილეების — 99-93-08, 99-03-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიისა პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ქსელის და პრესის მიმოხილვის — 93-95-98, ადგილობრივი ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მზრუნველთა წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, საზოგადოებრივი მისალების — 93-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 481-08-52; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 3-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ქუთაისი — 5-26-86; გორი — 2-33-10; ახალციხე — 2-03-15; ზუგდიდი — 28-40; ცხაკაია — 2-23-44; მახარაძე — 6-34-44; ზესტაფონი — 27-58; თელავი — 12-09; წითელწყაროო — 23-66; ტყიბული — 25-82.



საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14.

იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ჯორკუსში, ხუშარაულის, 29.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434

უე 07100

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

საქართველოს ტელევიზიის ერთი ქვირის პროგრამა

23 აპრილი

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 16.30 — აბიგურიენტთათვის — ბიოლოგია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მოსწავლეთათვის — სამართლისმცოდნეობა (ფ.), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — მოსწავლეთათვის — „კოცონი", 18.30 — „ვეფხვიკი" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე თბილისის „დინამო" — ტაშკენტის „ფახტაქორი", ტრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან (ფ.) შესვენების დროს — კინოგურნალი, 20.45 — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი — „შეი ფერები მოლდავეთი" (ფ.), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — მსოფლიო პირველობა ჰოკეიში. ფინალური ჯგუფის მონაწილეთა მატჩი. მესამე პერიოდი (მ.), 23.10 — „ძღერის მეფეა ამირანამდელი" (ფ.).

მეორე პროგრამაზე: 18.00 — სტუდენტებისათვის — ფილოსოფია (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ზღარბზე და სხვებზე", 19.10 — კონცერტი, 19.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ფაგიმა" (რუსული ვარიანტი. ფ.), 21.15 — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „შიშკინების ოჯახი" (ფ.).

24 აპრილი

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 10.05 — ქართული მხატვრული ფილმი „ბრიგინნა" (მ.), 16.30 — აბიგურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — შევისწავლოთ ინგლისური ენა (ფ.), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.55 — „ადამიანი და გარემო", 18.25 — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „მამისული ტყე" (ფ.), 18.35 — ჰასული გელემაყურებელთა შეკითხვებ ზე, 19.00 — „ავირგვინი მზეოვანთა და მაგალითი ყრმათა" (აკადემიკოს კ. კეკელიძის დაბადების მე-100 წლისთავის გამო), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — მუსიკალური ფილმების საგელეევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკარნეზე", 22.00 — „ვრემია"— საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სპორტული მიმოხილვა".

მეორე პროგრამაზე: 18.00 — რუსული სკოლების მეცხრეკლასელთათვის — „ფიზიკა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — სტუდენტებისათვის — თეორიული მექანიკა (ფ.), 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმები, 20.50 — „ლექსით ვზოგავდი მე ჩემს კაცობას". „ვალერიან გაფრინდაშვილი (ფ.), 21.05 — დოკუმენტური ფილმი „მემკვიდრენი".

25 აპრილი

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 16.30 — აბიგურიენტთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.20 — ლიტერატურული გადაცემა მოსწავლეთათვის „ხალხთა ძმობის მონოქრალი" ოვანეს თუმანიანი, 17.50 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტები" (მ.), 18.20 — „სახალხო კონტროლის ეკრანი", 18.50 — მუსიკალური შესვენება, 18.55 — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 22.30 ავლანეთის გელევიზიის პროგრამა. ავლანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადების დღის გამო (მ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „აფში არია" — ოფსეტური პიესა (ფ.).

მეორე პროგრამაზე: 18.00 — მოსწავლეთათვის ქართული ენა (ფ.), 18.30 — განცხადებები (ფ.), 18.35 — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „ესტაფეტა" (ფ.), 19.00 — სტუდენტებისათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია (ფ.), 19.45 — დოკუმენტური ფილმები: „გესაუბრები ჩემზე", „ბედი", (ფ.), 20.30 — მხატვრული ფილმი „მეცდიმის დაშვება არ შეიძლება" (ფ.).

27 აპრილი

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 16.30 — აბიგურიენტთათვის — ქიმია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — შევისწავლოთ ფრანგული ენა (ფ.), 17.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.45 — „ჩვენი საკონსულტაციო დარბაზი", 18.15 — „საქართველოს პოლიგექნიკურ ინსტიტუტში შემსვლელთათვის", 19.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო" — ვოლგოგრადის „ზარია". გრანსლაცია თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონიდან (ფ.), შესვენების დროს — კინოჟურნალი, 20.45 — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ალბანეთი", 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — კონცერტი (ფ.), 22.00 — „ვრემია"— საინფორმაციო პროგრამა (მ.).—22.35 — „ლექსო, ამალლდი" — ვ. ჟურულის დაბადების 70-ე წლისთვის გამო (ფ.).

მეორე პროგრამაზე: 18.00 — მეცხრეკლასელთათვის — ფიზიკა (ფ.), 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — კინონარკვევი, 19.00 — მსწავლებლის საათი — ხაზვა (ფ.), 19.45 — მხატვრული ფილმი „სვედიანი სიყვარულის გაზაფხული" (ფ.), 21.05 — დოკუმენტური ფილმი — „არის აღმოსავლეთში კეთილი ქალაქი" (ფ.).

28 აპრილი

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.40 — მოსწავლეთათვის „ქართული თეატრის წარსულიდან" — ვასო აბაშიძე (ფ.), 17.20 — „ვერნისაჟი", 17.50 — „ავანანა" — საგელეევიზიო ჟურნალი ქალებისათვის (ფ.), 18.50 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — „ეარნი ბრალს სდებს" (ფ.), 19.35 — სამეცნიერო-პოპული რ უ ლ ი ფილმი „... და ამეგმყვლდნენ უმყვნი ქანები..." (ქართულ ენაზე), 19.45 — „დღეს მსოფლიოში" (მ.), 20.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — მუსიკალური ფილმების საგელეევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკარნეზე", მხატვრული ფილმი „დედა" (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „შემაგებოდეს ლაშქარსა" (განმეორებით. ფ.), 23.10 — „საესტრადო პანორამა" (ფ.).

მეორე პროგრამაზე: 17.00 — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „მე მუშა კაცი ვარ", 18.00 — მოსწავლეთათვის — საქართველოს ისტორია (ფ.), 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმები, 19.15 — „ბავშვთა ეკრანი", 19.30 — „ეგალენთან კლუბი" (განმეორებითი. ფ.), 20.15 — საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „შუქი სახეზე" (ფ.), 21.00 — „რვა მოსიყვარულე ქალი მარჯანიშვილის თეატრში" (ფ.).

29 აპრილი

პირველი პროგრამაზე: 09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში" (მ.), 10.05 — შევისწავლოთ რუსული ენა (ფ.), 10.35 — „ფეხვეთვის, მშობლებო!" (მ.), 11.05 — „ცეროდენას ეკრანი" (ფ.), 11.35 — „ბელეკურსელთათვის — ქართული ენა (ფ.), 12.05 — დოკუმენტური ფილმი „სხეპში ჯეირნები ცხოვრობენ" (ქართულ ენაზე), 12.20 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მ.), 12.50 — მოსწავლეთათვის „ბორის წიგნის მოყვარულთა კლუბი", 13.20 — „თბილისი და თბილისელები" (ფ.), 13.50 — „ენის მოყვარულთათვის", 14.50 — „ეგანმრთელობა — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.35 — „ბავშვურთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს", 16.05 — კინონარკვევი, 16.15 — „ჩვენი სოფელი" — საგელეევიზიო პროგრამა, 17.00 — „კინოაფიშა", 17.30 — „საგელეევიზიო მისაღებ (სტუდიაში — საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრი ვ. ჯაბახიძე), 18.30 — მუსიკალური ფილმების საგელეევიზიო ფესტივალი — „სიმღერა ეკარნეზე". ქართული მხატვრული ფილმი „ალერის ბოლოდროინდელი ტრიო", 14.50 — პოეტური კომპოზიცია — „ლენინის სანადო უკვდავია" (მ.), 15.15 — ქართული საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმი „მოგონება" (ფ.), 15.30 — „ცხოველთა სამყაროში" (მ.), 16.30 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.50 — „თბილისი და თბილისელები" — საგელეევიზიო ჟურნალი (ფ.), 17.20 — „ახალგაზრდობისათვის — „კომუნისტური მაბათობა", 17.55 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.50 — დოკუმენტური ფილმი, 19.00 — „ალმოსავლური „ენების სწავლება „ჩვენს სკოლებში", 19.40 — „მეეხრე სტუდია" (მ.), 20.40 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მაღრეკანი" (ფ.), 21.00 — „„მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 21.30 — ლ. ბეთჰოვენი; „აპასიონატა". (ფ.), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სპორტული კალეიდოსკოპი" (ფ.), 23.20 — „კინოს მოყვარულთათვის", 00.50 — „საზღვარგარეთის ესტრადის რიგმები და მელოდიები" (მ.).

მეორე პროგრამით

17.00 — „ქართული საგელეევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა: „დარიალის